

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ციური ბერიძე

**კვლევა-ძიების მასალები
ვლადიმერ (ლადო) აღნიაშვილის
შესახებ
(2000-2016)**

თბილისი
2016

სამეცნიერო ნაშრომის მიზანია თავი მოუყაროს 2000-2016 წლებში პედაგოგ-მკვლევარის ციური ბერიძის მიერ ლადო აღნიაშვილის შესახებ გამოცემული წიგნების მიხედვით (ბიობიბლიოგრაფია და მონოგრაფია) კვლევა-ძიების შედეგებს და გამომხაურებებს, არსებულ რეცენზიებს, მკითხველს შესთავაზოს დისერტაციასთან დაკავშირებული დოკუმენტები, რეცენზია-დასკვნები და ამ მუშაობის შედეგები.

წიგნი განკუთვნილია აღნიშნული საკითხებით დაინტერესებული მკითხველებისათვის.

**ავტორი დიდ მადლოზას უხდის თანადგომისთვის
საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის
ეროვნული ბიბლიოთეკის განვითარების დირექტორს
გიორგი კეკელიძეს**

რედაქტორი: თამარ ფარჩუკიძე —
ისტორიის დოქტორი

რეცენზენტი: თამარ ფოცხვერაშვილი

კორექტორი: თამარ გიგოლაშვილი

დისაინერი: დალი ჯვარშიშვილი

ISBN 978-9941-0-9012-7

I. შესავალი

1. „არა არს დაფარული“

2001 წლის გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ (16-22 ნოემბერი, №46, გვ.14) გამოქვეყნდა პროფესორ კარლო მაჭარაშვილის ვრცელი სტატია, „არა არს დაფარული“, რომელიც მიეძღვნა ლადო აღნიაშვილის დაბადებიდან 140 წლისთავს.

ამ სტატიაში ღვანლმოსილი მეცნიერი, მიმოიხილავს რა ლადო აღნიაშვილის ბიოგრაფიულ ცნობებსა და შემოქმედებას, ამახვილებს ყურადღებას მის დიდ ღვანლზე ერის წინაშე. განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ლადო აღნიაშვილის დამსახურებას ქართული კულტურისა და განათლების წინაშე და წარმოაჩენს მის მდიდარ სულიერ მემკვიდრეობას, რომელიც ჯერ კიდევ სათანადოდ არ არის შესწავლილი.

პროფესორი კარლო მაჭარაშვილი დიდხანს ეძებდა მკვლევარს, რომელიც ძირფესვიანად შეისწავლიდა ლადო აღნიაშვილის პედაგოგიკურ მემკვიდრეობას, კერძოდ, მის მიერ შექმნილი რუსული ენის სახელმძღვანელოს ქართველი მოსწავლეებისათვის „პირველი ნაბიჯი...“, რომლის „რაციონალური მარცვალი“ არავის ჰქონდა გამოკვლეული. მკვლევარი მას თავად გამოეცხადა და რჩევა სთხოვა, რა მიმართულებით წარემართა თავისი კვლევა-ძიება. ეს იყო რუსთაველი პედაგოგი ციური ბერიძე, რომელმაც ყურადღებით მოუსმინა შემდგომში თავის მეცნიერ-ხელმძღვანელს და გატაცებით შეუდგა დასახული მიზნის - ზემოაღნიშნული სახელმძღვანელოს მეცნიერულ შესწავლას.

მკვლევარმა აღმოაჩინა, რომ ეს სახელმძღვანელო ეფუძნებოდა მეცნიერულად დასაბუთებულ თეორიას, რომელიც იშვა საქართველოში: წინასაანბანო, ზეპირ ლექსიკურ კურსს (გაკვეთილებს), რომლის შემოდების ინიციატორები იყვნენ გერასიმე კალანდარიშვილი და განსაკუთრებით, ლადო აღნიაშვილი, რომლებიც ეყრდნობოდნენ საკუთარ პედაგოგიკურ შემოქმედებით გამოცდილებას, რაც მაშინ უცნობი იყო რუსეთის მეცნიერებათა აკადემიისა და ყაზანში გამომავალი ჟურნალისათვის „ნაჩალნოე ობრაზოვანიე“. სწორედ ამიტომ ეს მეცნიერული სიახლე მიაწერეს იაკობ გოგებაშვილს, რომელსაც კარგად იცნობდნენ და აფასებდნენ რუსეთში.

ზემოაღნიშნული სახელმძღვანელო ლადო აღნიაშვილმა გამოაქვეყნა 1883 წელს 23 წლის ასაკში, 4 წლით ადრე, ვიდრე იაკობ გოგებაშვილი გამოაქვეყნებდა თავის „რუსსკოე სლოვოს“ 1887 წელს, მაგრამ ავტორობის გზაზე ლადო აღნიაშვილი, იმ დროს ახალგაზრდა პედაგოგი, ვერ გადაუდგებოდა ღვანლმოსილ პედაგოგს - იაკობ გოგებაშვილს!

პროფესორი კარლო მაჭარაშვილი 2001 წლის გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ (16-22 ნოემბერი, №46, გვ.14) წერს: „ ლადო აღნიაშვილის ამ უნიკალურ პედაგოგიურ აღმოჩენას სპეციალური სამეცნიერო გამოკვლევები მიუძღვნა ნიჭიერმა და ფართო

განათლების მქონე მეცნიერმა, ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკურ მეცნიერებათა ეროვნული ინსტიტუტის მაძიებელმა ციური ბერიძემ.

თუ აქამდე ლადა ალნიაშვილის მდიდარი დამრავალმხრივი პედაგოგიური, კულტურული და საზოგადოებრივი ცხოვრების შესახებ ჩვენ გვექონდა მხოლოდ იოსებ იმედაშვილის მიერ დანერგილი მცირე გამოკვლევა და რამდენიმე საგაზეთო და საჟურნალო სტატია, ამჯერად ამ მასალებს დაემატა ფუნდამენტური გამოკვლევები, რომლებშიც ღირსეულად წარმოჩინდა ლადო ალნიაშვილი - სამშობლოსათვის თავდადებული პედაგოგი, საზოგადო მოღვაწე, მწერალი, ეთნოგრაფი, ფოლკლორისტი და პუბლიცისტი“.

2. რუსთაველი პედაგოგის

კვლევითი მუშაობა

2001 წელი, 30 ნოემბერი

ბადაცემა I.

რამდენიმე წელია საინტერესო კვლევით მუშაობას ეწევა რუსთაველი პედაგოგი-მკვლევარი ციური ბერიძე. იგი ცდილობს წარმოაჩინოს როგორც შორეული წარსულის, ისე თანამედროვეობის თვალსაჩინო პიროვნებების მოღვაწეობასთან დაკავშირებული მოვლენები, რომლებიც დღეისათვის მივიწყებულია, უცნობია ან სათანადოდ არ არის დაფასებული.

კერძოდ, საუბარია ლადო ალნიაშვილის, იოსებ რატილისა და სოლომონ ლეკიშვილის მოღვაწეობაზე.

გესაუბრებათ **გიორგი კაკაბაძე**.

1880 წელს რუსეთის საოპერო დასთან ერთად თბილისში ჩამოვიდა ჩეხი მომღერალი იოზეფ ნავრატილი. იგი იმდენად მოიხიბლა თბილისით, რომ გადაწყვიტა სამუდამოდ დარჩენილიყო აქ და თავისი სიცოცხლის 72 წლიდან 32 წელი საქართველოში გაატარა. ქართული მუსიკის ისტორიაში იოზეფ ნავრატილი ცნობილია იოსებ რატილის სახელით. მას დიდი ღვაწლი მიუძღვის ქართული ხალხური მუსიკის შესწავლაში, გადარჩენასა და პოპულარიზაციაში, მომღერლების მომზადებაში.

საკმარისია ითქვას, რომ ცნობილი საზოგადო მოღვაწის ლადო ალნიაშვილის ინიციატივის შედეგად, იოსებ რატილი 10 წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა „ქართულ ხოროს“ — მომღერალთა გუნდს. მისი მოღვაწეობა ასახულია სოლომონ ლეკიშვილის წიგნში „იოსებ რატილი საქართველოში“ (თბ., 1961), რომლის გამოცემიდან უკვე 40 წელი გავიდა.

ახლა კი იმის შესახებ, თუ რამ განაპირობა რუსთაველი პედაგოგი-მკვლევარის, ციური ბერიძის დაინტერესება ამ სამი პიროვნებით.

თავიდან იგი იკვლევდა ლადო ალნიაშვილის პედაგოგიურ მემკვიდრეობას რუსული ენის სწავლებაში [ბერიძის ხმა]: „როგორც აღმოჩნდა, ლადო ალნიაშვილს, რომელმაც შექმნა სიმღერების გუნდი და რომელმაც სათავეში ჩაუყენა იოსებ რატილი, როგორც ლოტბარი, თურმე, ჰქონდა შესანიშნავი პედაგოგიური მემკვიდრეობა. კერძოდ, მან

დაწერა შესანიშნავი სახელმძღვანელო „Первый шаг в изучении русского языка для грузинских начальных школ“ (Тფ., 1883). ამ წიგნში მან შესანიშნავად წარმოაჩინა ზეპირი ლექსიკური კურსის აუცილებლობა წინანსაანბანო პერიოდში უცხო ენების სწავლების და, კერძოდ, რუსული ენის სწავლების საქმეში“.

ციური ბერიძის აზრით, სწორედ რომ ლადო აღნიაშვილს ეკუთვნის მეცნიერული პრიორიტეტი ზეპირი ლექსიკური კურსის აუცილებლობის თაობაზე წინასაანბანო პერიოდში რუსული და უცხო ენების სწავლებისას.

აღნიაშვილის მემკვიდრეობაზე მუშაობისას მკვლევარმა მიაგნო ბევრ საინტერესო ფაქტს, რომლებიც დღემდე უცნობი იყო. იგი აპირებს დაწეროს მონოგრაფია, სადაც ლადო აღნიაშვილი წარმოჩენილი იქნება, როგორც საზოგადო მოღვაწე, ეთნოგრაფი, ფოლკლორისტი, პუბლიცისტი, რომელსაც დიდი ღვაწლი მიუძღვის ერის წინაშე.

ამჟამად ციური ბერიძე რუსულ ენაზე თარგმნის სოლომონ ლეკიშვილის წიგნს „რატინი საქართველოში“. ამასთანავე, წიგნი ითარგმნება ჩეხურადაც და, რაც მთავარია, 40 წლის შემდეგ ხელმეორედ გამოიცემა ქართულ ენაზე.

ციური ბერიძე აგრეთვე დაინტერესდა წიგნის ავტორის, სოლომონ ლეკიშვილის პიროვნებით. [ბერიძის ხმა]: „კვლევა-ძიების საფუძველზე მივაგენი მის მისამართს შემდეგ ოჯახში მიმინვიეს და გავეცანი მის შესანიშნავ არქივს, დავრწმუნდი, რომ ის ყოფილა გამოჩენილი ქართველი მეცნიერ-ენციკლოპედისტი, რომელმაც ღირსეული წვლილი შეიტანა ქართულ კულტურაში“.

სოლომონ ლეკიშვილი არის 40-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის, მათ შორის, სამი მონოგრაფიის ავტორი. მას ძალიან კარგად იცნობდნენ სამეცნიერო წრეებში, თუმცა, როგორც ჩემი თანამოსაუბრე აღნიშნავს, თავად მეცნიერის ღვაწლი სათანადოდ ჯერ არ არის დაფასებული.

ციური ბერიძე ამჟამად სოლომონ ლეკიშვილის მოღვაწეობასაც იკვლევს.

გიორგი კაკაბაძე

რადიო „თავისუფლებისათვის“, თბილისი.

რადიო „თავისუფლების“ თბილისის

ბიუროს ხელმძღვანელი: **თ. ჩიქოვანი**

რუსთაველი პედაგოგის

კვლევითი მუშაობა

2001 წელი, 7 დეკემბერი

ბადაცემა II.

წინა კვირის გადაცემაში თქვენ გაეცანით რუსთაველი პედაგოგ-მკვლევარის ციური ბერიძის მეცნიერულ საქმიანობას, რომელიც უკავშირდება ქართული კულტურისა და მეცნიერების სამი თვალსაჩინო წარმომადგენლის: იოსებ რატინის, ლადო აღნიაშვილისა და სოლომონ ლეკიშვილის მოღვაწეობას.

განვაგრძობთ საუბარს ამ თემაზე.

გესაუბრებათ გიორგი კაკაბაძე.

სიცოცხლის ბოლო წლებში, სანამ ტრაგიკულად დაიღუპებოდა საავტომობილო კატასტროფაში 1995 წელს, სოლომონ ლეკიშვილი მუშაობდა სიმონ ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმში დირექტორის მოადგილედ სამეცნიერო ნაწილში და ფონდების მთავარ მცველად. სამეცნიერო წრეებში სოლომონ ლეკიშვილს იცნობდნენ, როგორც ერთდირებულ ისტორიკოსს, ფილოლოგს, პუბლიცისტსა და ქართული კულტურის ამაგდართა მოღვაწეობის მკვლევარს. ერთ-ერთი მისი მონოგრაფია ეძღვნება ქართული კულტურის ისტორიის შესანიშნავ სპეციალისტს ევგენი ბოლხოვიტინოვს, რომელმაც მე-18 საუკუნეში პირველმა გააცნო რუს მკითხველს „ვეფხისტყაოსანი“.

თუმცა, როგორც ციური ბერიძე აღნიშნავს, სოლომონ ლეკიშვილის სახელი ნაკლებად არის ცნობილი ფართო საზოგადოებისათვის, ამიტომ რუსთაველმა მკვლევარმა განიზრახა, რომ მონოგრაფია მიუძღვნას მეცნიერს. ამ მიმართულებით უკვე გადაიდგა პირველი ნაბიჯები. მზად არის ბიობიოგრაფია. ამასთან, ციური ბერიძემ თხოვნით მიმართა ცნობილ მეცნიერებს, მოგონებები დაწერონ სოლომონ ლეკიშვილზე.

ბუნებრივია, რომ წიგნში შევა მეცნიერის მდიდარი მემკვიდრეობა – სამი მონოგრაფიის გარდა, ეს არის ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებული წერილები, რომლებიც დაკავშირებულია ილია ჭავჭავაძის, ვაჟა-ფშაველას, აკაკი წერეთლისა და სხვა ცნობილ მოღვაწეთა სახელებთან, აგრეთვე, სტატიები, რომლებშიც განხილულია ქართულ-აფხაზური, ქართულ-ოსური ურთიერთობები და სხვა საკითხები.

ციური ბერიძის თქმით [ბერიძის ხმა]: „სოლომონ ლეკიშვილი იმდენად მრავალმხრივი და ენციკლოპედიური ცოდნის იყო, რომ მას უკავშირდებოდნენ, სთხოვდნენ რჩევა-დარიგებებს აკაკი შანიძე, ვანო შადური, გიორგი ლეონიძე, ცნობილი მწერლები და საზოგადო მოღვაწეები. აგრეთვე, პირველ ყოვლისა, მეცნიერები, რადგანაც მას იცნობდნენ, როგორც შესანიშნავ არქივმცოდნეს, წყაროების ზედმინევენით კარგ მცოდნეს“.

რაც შეეხება სოლომონ ლეკიშვილის მონოგრაფიას იოსებ რატილის შესახებ, ამ წიგნის ნაკითხვის შემდეგ ციური ბერიძე დაუკავშირდა ჩეხეთის სათვისტომოს თბილისში და დაადგინა, რომ ცნობილი მუსიკოსის ყველა ნათესავი საქართველოში დარჩა – არც ერთი მათგანი არ წასულა ჩეხეთში საცხოვრებლად. უნდა ითქვას, რომ ციური ბერიძის ინიციატივით, საქართველოში ჩეხეთის რესპუბლიკის საელჩოსა და საქართველოს კულტურის სამინისტროს თანადგომით, 2001 წლის 14 ივნისს თბილისის რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრის დიდ დარბაზში აღინიშნა იოსებ რატილის დაბადებიდან 160 წლისთავი. ამ თარიღს მიუძღვნა რუსთაველმა მკვლევარმა წერილი სათაურით „ჩეხი მუსიკოსი იოსებ რატილი საქართველოში“, რომელიც დაიბეჭდა ჟურნალ „კავკასიის მაცნეში“ და გაზეთში „Свободная Грузия“.

იოსებ რატილის მიერ ქართულ მუსიკალურ კულტურაში შეტანილ ღვაწლს ჩვენს წინა გადაცემაშიც შევეხეთ. კერძოდ, აღვნიშნეთ, რომ ცნობილი საზოგადო მოღვაწის ლადო აღნიაშვილის ინიციატივის შედეგად, სახელგანთქმული ტენორი 10 წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა ქართული ხალხური სიმღერის გუნდს. არადა, იმხანად თავადაზნაურობას მიაჩნდა, რომ სცენაზე ქართული სიმღერის შესრულება სირცხვილია და შეუძლებელიც არის [ბერიძის ხმა]: „მაგრამ, როდესაც პირველი კონცერტი ჩატარდა 1886 წლის 15 ნოემბერს, ამ კონცერტს გამოეხმაურნენ ილია ჭავჭავაძე ორი მონინავე სტატიით ჟურნალ „ივერიაში“, ალექსანდრე ყაზბეგი, სოფრომ მგალობლიშვილი და მრავალი სხვა

საზოგადო მოღვაწე, რომლებიც აღფრთოვანებით აღნიშნავდნენ, რომ ეს იყო „სულის მოძრაობა და გულის ძარღვის ცემა“.

წინა გადაცემაში ითქვა, რომ ციური ბერიძე იკვლევს არა მხოლოდ ლადო აღნიშვილის პედაგოგიურ მემკვიდრეობას, არამედ მისი მრავალმხრივი მოღვაწეობის სხვა სფეროებსაც. მაგალითად, შარშან ჟურნალ „კავკასიური მაცნის“ მე-2 ნომერში დაიბეჭდა მკვლევრის სტატია სათაურით „ლადო აღნიშვილი და საქართველოს მუსიკალური კულტურა“ (დაბადებიდან 140 წლისთავის გამო).

ამდენად, შეიძლება დავასკვნათ, რომ ციური ბერიძემ, რომელიც 2001 წელს აღიარეს ქალაქ რუსთავის საუკეთესო პედაგოგ-მკვლევრად, საინტერესო კუთხით დაუკავშირა ერთმანეთს სხვადასხვა პერიოდის სამი თვალსაჩინო პიროვნების მოღვაწეობა.

გიორგი კაკაბაძე

რადიო „თავისუფლებისათვის“, თბილისი.

რადიო „თავისუფლების თბილისის
ბიუროს ხელმძღვანელი: **თ. ჩიქოვანი**

3. ამაბღარი

ადამიანი იბადება იმისთვის, რათა ნათელი კვალი დატოვოს ცხოვრებაში. ბედნიერია ის, ვინც ამ ქვეყნად საკუთარ მისიას სწორად განსაზღვრავს და თავისი შესაძლებლობებითა და ნიჭით, მიზანსწრაფულობითა და ცხოვრებისეული სიბრძნით გაივლის ცხოვრების რთულ გზას.


წარმოუდგენელია ადამიანი, ვისაც გზამკვლევად მასწავლებელი არ ჰყავდეს, მაგრამ ყველას როდი აქვს ბედნიერება ცხოვრების გზაზე ჭეშმარიტ მოძღვარს შეხვდეს და მასთან ერთად მარადიული ჭეშმარიტებები ეძიოს.

მე ბედნიერება მხვდა წილად, მყოლოდნენ შესანიშნავი პედაგოგები, როგორც სკოლაში, ასევე ცხოვრების მომდევნო ეტაპზე. მათ შორის ჩემთვის გამორჩეულია ბატონი კარლო მაჭარაშვილი- ჩემი მეცნიერ-ხელმძღვანელი, რომლის მოღვაწეობა სამეცნიერო სარბიელზე და მისი დამოკიდებულება ადამიანებისადმი, მისაბაძი მაგალითია ყველასთვის.

იაკობ გოგებაშვილისა და სოლომონ ფურცელაძის ღირსეული მემკვიდრე და საქმის გამგრძელებელი, ყოველთვის იღვწოდა სიტყვითა და საქმით ქართული პედაგოგიური მეცნიერების განვითარებისათვის. დაჯილდოებულია იაკობ გოგებაშვილის სახელობის პრემიით. 300-ზე მეტი გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომის, 4 სასკოლო და ერთი უმაღლესი სკოლის სახელმძღვანელოს შემდგენელი ავტორი. 1980 წელს ბატონ კ.მაჭარაშვილს მიენიჭა საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება.

ომგადახდილმა მეცნიერმა დაიმსახურა სამამულო ომის I და II ხარისხის ორდენები და 12 მედალი, მათ შორის: მამაცობისთვის, საბრძოლო დამსახურებისათვის, კავკასიის დაცვისათვის, გერმანიაზე გამარჯვებისათვის და სხვა.

ბატონ კარლო მაჭარაშვილს ბედმა არგუნა იშვიათი შესაძლებლობა გამოჩენილ მეცნიერებთან მჭიდრო ურთიერთობებისა. აღსანიშნავია, რომ მათ მოღვაწეობას მეცნიერმა მიუძღვნა არაერთი საყურადღებო წერილი, რომლებიც სხვადასხვა



ჟურნალ-გაზეთებშია გაბნეული. ამ სტატიებში იგი მაღალმეცნიერულ დონეზე განიხილავს მათ ნაშრომ-ნაღვანს, პიროვნულ თვისებებს და წარმოაჩენს მათ, როგორც ერის სასიქადულო შვილებს, რომელთა შრომა და ღვაწლი ერის წინაშე ფასდაუდებელია. ესენი არიან: გ. ახვლედიანი, ს. ფურცელაძე, მ. კანკავა, დ. ქინქლაძე, ვ. კაპანაძე, პ. ნულუკიძე, ვ. ავალიშვილი, თ. ჯაფარიძე, შ. შათირიშვილი, ვ. ქაჯაია და სხვა.

მე წლების განმავლობაში მისი ხელმძღვანელობით ვიმუშავე სადისერტაციო თემაზე, რომელიც ლადო აღნიაშვილის სულიერ, მათ შორის, პედაგოგიურ მემკვიდრეობას შეეხებოდა. სწორედ მან შემამზადა ამ შესანიშნავი მამულიშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესწავლისათვის.

ჩემ თვალწინ გადაიშალა მეცნიერული კვლევის დიდი სარბიელი, რომელშიც ჩამახედა თავისი დინჯი, პედაგოგიური და გულისხმიერი, ადამიანური მიდგომებით. მან მასწავლა ჭეშმარიტებათა ძიება და ცხოვრებისეული სიბრძნის ახლებური ხედვა. ამისთვის დიდ მადლობას ვუხდით მას. იგი არა მარტო მორალურად, მატერიალურადაც არაერთხელ დამხმარებია. ასეთი იყო არამარტო ჩემთვის, არამედ ყველა გარშემომყოფთათვის. დიახ, ის ჭეშმარიტი მოძღვარი იყო, ბრძენი და უაღრესად კეთილშობილი. თავისი კეთილი საქმეებით იგი ნათელ კვალს ტოვებს ადამიანთა მეხსიერებაში. ამიტომ მისი ნაღვანი ჭეშმარიტად დასაფასებელია.

რითი შეგვიძლია ჩვენ, მის მოსწავლეებს, სტუდენტებს, ახალგაზრდებს, ვინც მან გამოზარდა და დამოძღვრა, მისი ამაგი, ზრუნვა და ყურადღება დავაფასოთ? მხოლოდ ღირსეული მამულიშვილობით, სახელოვანი მეცნიერული და კულტურული ტრადიციებისადმი ერთგულებით.

ციური ბერიძე

ნიგნიდან „მეცნიერი, პედაგოგი, მოქალაქე“ -
კარლო მაჭარაშვილი - 80
თბილისი, გამომცემლობა „მერანი“, 2004, გვ 56-57
გაზ. „ახალი განათლება“, 2004,
18-24 ნოემბერი. N33(250) გვ 3

II. გამოსაშვრები ნიბნჯი
„ვლადიმერ (ლადო) აღნიაშვილი.
ბიობიბლიოგრაფია“
(თბ. 2002, 82 გვ.)

* * *

გავეცანი პედაგოგ-მკვლევრის ციური ბერიძის ნაშრომს — „ვლადიმერ (ლადო) აღნიაშვილი, ბიობიბლიოგრაფია“, რომელიც ჩვენი სახელოვანი წინაპრის — ლადო აღნიაშვილის ცხოვრებასა და მოღვაწეობას ეძღვნება.

ბიობიბლიოგრაფია დიდი ყურადღებითა და სიყვარულითაა შესრულებული. დიდი მადლობა მას, ვინც ის შექმნა!

თითქოს დავიწყებას იყო მიცემული ამ დიდი ადამიანის სახელი მაშინ, როდესაც სწორედ ახლა გვჭირდება სამაგალითო მამულიშვილთა ცხოვრებისა და მოღვაწეობის ნარმოჩინება.

რომელი ერთი უნდა დაასახელოთ ბატონი ლადო აღნიაშვილის შემოქმედებიდან, რომ ალტაცებული არ დარჩეთ:

ახალგაზრდა პედაგოგმა 23 წლის ასაკში რომ შეადგინა და გამოსცა სახელმძღვანელო „პირველი ნაბიჯი რუსული ენის შესწავლაში დაწყებითი ქართული სკოლებისათვის“ ან „ახალი ანბანის“ რვა წიგნის გამოცემა, ან რუსულ-ქართული „უბის ლექსიკონი“, ან მის მიერ შეგროვილი ხალხური ზღაპრები... ან ქართული ხალხური პროფესიული გუნდის — „ქართული ხოროს“ ჩამოყალიბება და რამდენი სხვა სიკეთე — ცოტას ნიშნავდა?!

თავისი ქვეყნისა და ხალხის სიყვარული იყო ის ძალა, რომელმაც შეაძლებინა სიყმანვილიდანვე ამდენი საქმე დიდ მამულიშვილს.

ლადო აღნიაშვილის ცხოვრება საუკეთესო მაგალითია იმისა, თუ როგორი უნდა იყოს ქვეყნის ღირსეული შვილი.

ქალბატონი ციური ბერიძე, პირველყოვლისა, პედაგოგია და იცის ფასი იმ საუკეთესო ადამიანური თვისებებისა, რომლებიც ამკობს ლადო აღნიაშვილის ცხოვრებას.

როგორ სჭირდება ჩვენს ქვეყანას ახლა ასეთი მამულიშვილები! ეს ნაშრომი დიდ სიამოვნებას მოჰგვრის ფართო მკითხველს, ვფიქრობ, კარგი შენაძენია პედაგოგებისათვის, რომლებიც ლადო აღნიაშვილის ცხოვრებასა და შემოქმედებას მოსწავლე ახალგაზრდობის აღზრდისას საუკეთესო მაგალითად გამოიყენებენ.

დიდი მადლობა ქალბატონ ციური ბერიძეს ამ კეთილშობილური საქმის შესრულებისათვის!

მე კი ის დამრჩენია, ღმერთს შევევედრო, გვიმრავლოს ისეთი მამულიშვილები, როგორიც ბატონი ლადო აღნიაშვილი იყო.

დარეჯან კანდელაკი

რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებელი,
პერსონალური პესიონერი
2002 წლის 25 სექტემბერი

* * *

ახლახან გამომცემლობა „მეცნიერებამ“ (ქართულ და რუსულ ენებზე) დასტამბა ბიობიბლიოგრაფიული ნაშრომი „ვლადიმერ (ლადო) აღნიაშვილი“, რომელიც შეადგინა და სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობის მოკლე მიმოხილვა დაურთო ასპირანტმა ციური ბერიძემ.

ნაშრომი შვიდი განყოფილებისაგან შედგება: „ვლადიმერ (ლადო) აღნიაშვილის პედაგოგიური მემკვიდრეობა (სახემძღვანელოები, სასწავლო-აღმზრდელობითი და შემეცნებითი ხასიათის ლიტერატურა მოზარდი თაობისათვის)“, „ლადო აღნიაშვილის შრომების სია (მემკვიდრეობა)“, „მასალები ვლადიმერ (ლადო) აღნიაშვილის ბიოგრაფიისათვის (წიგნები, ჟურნალები, გაზეთები“ — პუბლიკაციები მასზე“, „რეცენზიები და გამოხმაურებები ლადო აღნიაშვილის პედაგოგიურ და საზოგადოებრივ მოღვაწეობაზე (XIX საუკუნე)“ და „დანართი“, რომელშიაც ფოტომასალაა მოთავსებული.

ამ განყოფილებათა მიხედვით გაშუქებულია ლადო აღნიაშვილის მეტად საინტერესო ცხოვრება და შემოქმედება, მდიდარ ლიტერატურულ მასალებზე დაყრდნობით.

ლადო აღნიაშვილმა სულ 44 წელი იცოცხლა (1860-1904), მაგრამ ამ მცირე ხნის განმავლობაში მან თავისი ნაყოფიერი და დაუღალავი შრომით ბევრის გაკეთება შეძლო ქართველი ხალხის პედაგოგიური განათლებისა და კულტურული ცხოვრების დარგში.

23 წლის ახალგაზრდამ გამოსცა სახელმძღვანელო „პირველი ნაბიჯი რუსული ენის შესასწავლად დაწყებითი ქართული სკოლებისათვის“. მასთან ჩამოაყალიბა ქართველ მომღერალთა გუნდი („ქართული ხორო“), რომელმაც დიდი ისტორიული როლი შეასრულა ჩვენი ქვეყნის კულტურულ ცხოვრებაში — მკვიდრი საფუძველი ჩაუყარა ეროვნული სასიმღერო შემოქმედების აღორძინებას, მის პროპაგანდასა და შემდგომ განვითარებას.

საგულისხმოა, რომ დიდმა ილიამ მაღალი შეფასება მისცა „ქართული ხოროს“ შექმნას. იგი 1886 წლის (250) ჟურნალ „ივერიაში“ წერდა: ...ქართულმა ხორომ“ შეასრულა ჩვენი ხალხური სიმღერები... ეს იყო სულის მოძრაობა და გულის ძარღვის ფეთქვა. დიდი მადლობა გვმართებს ბატონ ლადო აღნიაშვილისა, რომელმაც მართლა სახელოვანი საქმე იკისრა...“ ასევე გულწრფელი მადლიერების გრძნობა გამოხატეს აღნიაშვილის მიმართ იაკობ გოგებაშვილმა, ალექსანდრე ყაზბეგმა, სოფრომ მგალობლიშვილმა, ლუკა ისარლიშვილმა და სხვებმა.

ლადო აღნიაშვილის აქტიური მონაწილეობით 1887 წელს დაარსდა „ქართველთა წიგნების გამომცემელი ამხანაგობა“, რომელმაც განსაკუთრებული წვლილი შეიტანა ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორიაში. ამავე წელს გამოსცა რუსულ-ქართული „უბის ლექსიკონი“, შეადგინა და გამოაქვეყნა ქართული ხალხური ზღაპრების კრებული.

ყურადსაღებია, რომ აღნიშნული კრებული საფუძვლად დაედო გამოჩენილი ინგლისელი მწერლის, მარჯორი უორდროპის, მიერ ინგლისურად თარგმნილ „ქართულ ხალხურ ზღაპრებს“ (1894).

ლადო აღნიაშვილმა გამოსცა სკოლისგარეშე საკითხავად „ახალი ანაბანის“ რვა წიგნაკი.

აღსანიშნავია ისიც, რომ ქართველი პატრიოტი 1894 წელს გაემგზავრა სპარსეთში შაჰ-აბასის დროს გადასახლებულ ქართველთა ცხოვრების შესასწავლად. ამ ფაქტს მიუძღვნა ჟურნალ „მოამბეში“ სტატიების ციკლი, რომელსაც მოჰყვა ვრცელი ეთნოგრაფიულ-ფოლკლორული ნაშრომი „სპარსეთი და იქაური ქართველები“ (1896), რომელშიც

გადმოცემულია იმდროინდელი სპარსეთის ყოფა-ცხოვრება, აღწერილია ფერეიდნელი ქართველების ზნე-ჩვეულებანი, მათი ეკონომიკურ-კულტურული მდგომარეობა.

ციური ბერიძის ზემოაღნიშნულ ბიობლიოგრაფიაში მკითხველის ყურადღებას იპყრობს ლადო აღნიშვილის გარდაცვალებიდან ათი წლისთავისადმი მიძღვნილი რამდენიმე სტატია—მოგონება, გამოქვეყნებული 1914 წლის ჟურნალ „თეატრი და ცხოვრების“ ფურცლებზე (26). (თვითონ ამ ჟურნალის უცვლელი რედაქტორი — იოსებ იმედაშვილი — ლადო აღნიშვილის დიდი თაყვანისმცემელი იყო).

აი, ერთი მათგანი — ლადოს კოლეგა და უახლოესი მეგობარი ალექსი მირიანაშვილი იგონებს: „მის (ლ.ა. — ბ.მ.) ლაპარაკს ყოველთვის ოპტიმისტური ელფერი ჰქონდა, საზოგადო საქმე სათაყვანებელ კერპად ჰქონდა გამხდარი, კერძო ინტერესი, საკუთარი ჭირ-ვარამი მისთვის არ არსებობდა. ქართული სკოლა, ქართული ენა, ქართული ლიტერატურა, ქართული ისტორია, ქართული გალობა-სიმღერა, ხალხური ზეპირსიტყვიერება, ქართული დანესებულებანი... აი, ის საგნები, რომელთა ფარგლებშიც ტრიალებდა მუდამ მისი ფანტაზია და მსჯელობა... ყოველ საქმეს ფანატიკური გატაცებით ეპყრობოდა. რას ჰქვიან დაბრკოლება: თუ რასმე განიზრახავდა, კიდევაც სისრულეში მოიყვანდა, არც ერთს საქმისათვის არ ზოგავდა თავის ჯიბეს, თუმცა არასდროს არ ჰქონია საკმარისი ჯამაგირი... მანვე განიზრახა „ანბანის“ სახელით გამოეცა ქართველი ბავშვებისათვის ოჯახსა და სკოლაში სახმარი ენციკლოპედია პატარ-პატარა ნიგნებად, რიცხვით იმდენი, რამდენიც ქართულ ანბანში ასოა, მაგრამ, საუბედუროდ, შრომის დამთავრება აღარ დასცალდა“.

ეს ვრცელი ამონაწერი იმიტომ მოვიყვანეთ, რომ ნათელი წარმოდგენა გვქონოდა ლადო აღნიშვილის ერუდიციასა და პირად თვისებებზე.

ბიობლიოგრაფიის ავტორს დიდი შრომა გაუწევია და აუარებელი ლიტერატურა გამოუყენებია იმისათვის, რომ თავი მოეყარა სხვადასხვა დროს ლიტერატურულ, პედაგოგიკურ თუ პუბლიცისტურ წერილებსა და ნარკვევებში გამოქვეყნებული მასალებისათვის XIX საუკუნის ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწის, პედაგოგის, ეთნოგრაფის, ფოლკლორისტის, ხელოვანის, ნიჭიერი ლიტერატურათმცოდნის — ლადო აღნიშვილის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ და ცალკე ნიგნად მოენოდებინა მკითხველისათვის.

ნაშრომი დანერილია თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენით და ინტერესით იკითხება.

აღნიშნული ბიობლიოგრაფია მაღალ შეფასებას იმსახურებს. ჩემი აზრით, იგი ავტორს ხელს შეუწყობს სამეცნიერო ხარისხის მოპოვებაში.

ბალავარ მესხი

ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი,
რუსთავის განათლების განყოფილების მეთოდისტი

14.11.2002

* * *

ენერგიული, ზნეობრივი თვისებებით გამორჩეული, საზოგადოებრივად აქტიური, ნიჭიერი და შრომისმოყვარე - ასე მოიხსენიებს დღევანდელი მასმედია პედაგოგსა და მკვლევარს ციური ბერიძეს. ჟურნალისტიკისთვის არაფერია იმაზე მეტი ბედნიერება, როცა ასეთებს შენს გვერდით აღმოაჩენ და პირისპირ ესაუბრები.

მომავალი თაობები რომ ჭეშმარიტად ზნეობრივ მაგალითზე, ეროვნულ ტრადიციებ-

სა და სულისკვეთებაზე უნდა აღიზარდონ, ამის მიღწევას ციური ბერიძე მოსწავლეებთან ურთიერთობისას, გარდა იმისა, რომ გაკვეთილებზე ცდილობს, რამდენიმე წელია სამეცნიერო-კვლევით მუშაობასაც ეწევა.

დოკუმენტურ და საარქივო მასალებზე დაყრდნობით პედაგოგმა შექმნა ჩვენი თაობებისათვის ნაკლებად ცნობილი თვალსაჩინო მამულიშვილის ვლადიმერ (ლადო) აღნიაშვილის ბიობიბლიოგრაფია (თბ., 2002).

მკვლევარი წიგნში საინტერესოდ წარმოაჩენს ლადო აღნიაშვილის უდიდეს წვლილს ქართული პედაგოგიკური მეცნიერების განვითარებაში, ქართული მუსიკალური კულტურის შესწავლა-პოპულარიზაციის საქმესა და ეროვნული ზეპირსიტყვიერების შეგროვება-გამოქვეყნებაში.

წიგნი, რომელიც გამომცემლობა „მეცნიერებამ“ დასტამბა, ფართო საზოგადოების მსჯელობის საგანი გახდა. მისი პრეზენტაცია მოეწყო თბილისსა და რუსთავეში. აღნიშნულ ნაშრომს მაღალი შეფასება მისცეს პედაგოგიურ მეცნიერებათა დამსახურებულმა მოღვაწემ კარლო მაჭარაშვილმა, ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის წამყვანმა მეცნიერ-თანამშრომელმა ლევან ფრუიძემ, წიგნის რედაქტორმა, ჟურნალისტმა ციური ხეთერელმა და სხვებმა.

დასასრულს უნდა აღინიშნოს ისიც, რომ დღევანდელ პირობებში რამდენად რთული იქნებოდა პედაგოგისათვის არათუ წიგნის გამოცემა, არამედ უბრალო ნაშრომის დაბეჭვდაც კი. რომ არა ჩვენს ქალაქში მეცენატობით ცნობილი როლანდ მგალობლიშვილი, ციური ბერიძის მრავალწლიანი შრომა დღის სინათლეს ვერც კი იხილავდა. ბატონი როლანდის თანადგომით მოხერხდა ციური ბერიძის წიგნის გამოცემა, რისთვისაც მკვლევარი დიდ მადლობას უხდის მას.

შორენა ჭილაძე -

ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი,
ჟიული შარტავას სახელობის N4 საშ. სკოლის პედაგოგი.
ამავე სკოლის გაზეთი“ მეოთხე“ , 2002 წ.,
ვარდობის თვე, გვ.6.

* * *

სამზეოზე გამოვიდა და დღევანდელ მკითხველს საშუალება ეძლევა გაეცნოს თითქმის მივიწყებული ქართველი მოამაგის ვლადიმერ (ლადო) აღნიაშვილის შესახებ ბიობიბლიოგრაფიულ ნაშრომს. ციური ბერიძის ეს მეტად საინტერესო და, შეიძლება ითქვას, ფართო მკითხველისათვის საჭირო წიგნი, მოკლედ, ლაკონურად გადმოსცემს ამ პიროვნების ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველ მოვლენებს.

„საჭიროა შეაყვარო მოსწავლეებს ერის სულიერი კულტურა, ჩაახედო საქართველოს მდიდარ ფოლკლორულ საგანძურში, გაუფაქიზო გრძნობები და განუმტკიცო საზოგადოებრივი ჯანსაღი მორალი“. სწორედ ამის ღრმა შეგრძნება გასდევს ლაიტმოტივად გამოჩენილი ქართველი პედაგოგის, საზოგადომოღვაწის, ფოლკლორისტის, ჟურნალისტის, დიდი ერისკაცის ხანმოკლე და სისხლსავსე ცხოვრებას. ამ წიგნის გამოცემით ავტორმა მეტად კეთილშობილური და მამულიშვილური ღვაწლი დასდო ქართულ კულტურას.

ეთერ წულუკიანი

გაზ. „ურმული“ , 2002წ. 9

საყურადღებო ნაშრომი

ჩვენს პროფესიულ ლიტერატურაში იშვიათად თუ გამოჩნდება რაიმე მნიშვნელოვანი და საყურადღებო, განსაკუთრებით ეს ბიბლიოგრაფიას ეხება. ამდენად, დიდი ინტერესით შევეგებეთ ციური ბერიძის მიერ შედგენილ და გამოცემულ ბიბლიოგრაფიულ მაჩვენებელს, რომელიც მე-19 საუკუნის ნახევრის უთვალსაჩინოეს ქართველ მოღვაწეს ვლადიმერ (ლადო) აღნიშვილს ეძღვნება.

ვლადიმერ (ლადო) აღნიშვილი უაღრესად კოლორიტულ ფიგურას წარმოადგენდა. თითქოს განუსაზღვრელი იყო ის სფერო, რომელშიც ის მოღვაწეობდა - სახელმძღვანელოებისა და საანბანო წიგნების ავტორი, გამომცემელი ქართული ზღაპრებისა. საინტერესოა ის ფაქტი, რომ ლადო აღნიშვილის მიერ შეკრებილი ზღაპრები უთარგმნია მარჯორი სკოტ უორდროპს ქართულიდან ინგლისურ ენაზე 1894 წელს და გამოუქვეყნებია ლონდონის ჟურნალში „Saturday Review“.

ის იყო წარმატებული ჟურნალისტი, რომელიც თავისი მოღვაწეობით ქართული საზოგადოების გულისყურს უმნიშვნელოვანეს ეროვნულ პრობლემებზე აპყრობდა.

პედაგოგი-ნოვატორი, მოსწავლეთა რუსული და ქართული ენის საყვარელი მასწავლებელი, თეატრალი, მოგზაური, ვინაც ერთ-ერთმა პირველმა შედგა ფეხი ფერეიდნის მიწაზე და იქაური ქართველები ჩვენებურებს დაუკავშირა, კოოპერატორი, ამხანაგობა „შუამავლის“ შემქმნელი, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების აქტიური წევრი, საყმანვილო ყოველთვიური ჟურნალ „ჯეჯილის“ სარედაქციო საქმეებში დაუღალავი მონაწილე.

ქართული ფოლკლორის დიდი სიყვარულის გამო, საფუძველი ჩაუყარა ქართულ სასიმღერო გუნდს („ხოროს“) ლოტბარად კი მოიწვია გამოჩენილი ჩეხი მომღერალი, კომპოზიტორი იოზეფ ნავრატული (შემდგომში საქართველოში ცნობილი, როგორც იოსებ რატილი) იოსებ რატილთან ერთად ლადო აღნიშვილმა მთელი ეპოქა შექმნა ქართული საგუნდო სიმღერების განვითარების ისტორიაში, დადიოდა ძველ ქართულ სამოსში, რაც ყოველთვის ხაზს უსვამდა მის ეროვნულ სულისკვეთებას და შთამბეჭდავ გავლენას ახდენდა ირგვლივ მყოფთა შორის.

ქართული წიგნის, ქართული ჟურნალისტიკის დიდი ამაგდარი, ბიბლიოფილი იოსებ იმედაშვილი თავის ნაშრომში „ლადო აღნიშვილი“ (1925 წ.) ლადოს შესახებ ასეთ სტრიქონებს გვთავაზობს: „ეს იყო უკეთილშობილესი საზოგადო მოღვაწე, მაღალი იდეალებით გატაცებული, გარეგნობით ახოვანი, საამო შესახედავი, სულით მგზნებარე და მუდამ ფაქიზი“.

ქართველი ხალხისათვის ასეთი მოღვაწის მემკვიდრეობის გამოვლენას, თავმოყრას, აღწერას და დაცვას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. სწორედ ამიტომ მიგვაჩნია კარგ საქმედ ამ თავდადებული მამულიშვილის ბიბლიოგრაფიული მაჩვენებლის გამოცემა.

ნაშრომი გამოცემულია ქართულ-რუსულ ენებზე პარალელურად და 82 გვერდს შეიცავს. დართული აქვს აღნიშვილების ოჯახის გენეოლოგიური სქემა და მრავალი საინტერესო ფოტო-სურათი, რომლებიც ავტორს აღნიშვილების გვარის წარმომადგენელთა ოჯახებში მოუპოვებია.

ბიბლიოგრაფიული მაჩვენებელი რამდენიმე ნაწილისგან შედგება, რომლებიც 20 წლის მანძილზე გამოცემულ ლიტერატურას შეიცავს (1883-1904), შედგენილია საქართ-

ველოს პარლამენტის ი.ჭავჭავაძის სახ. ეროვნული ბიბლიოთეკის, საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივის, გ.ლენინის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილების დოკუმენტურ მასალებზე დაფუძნებით, გამოყენებულია, აგრეთვე, წიგნებსა და ჟურნალ-გაზეთებში ლადო აღნიაშვილის შესახებ არსებული მასალა, ანალიტიკური ბიბლიოგრაფიული საძიებლები, ამასთან, ავტორის მიერ ჩატარებული ეთნოგრაფიული ექსპედიციის მასალები ყვარლის რაიონის სოფელ შილდაში, სადაც მოპოვებული იქნა ფოტოები.

წიგნის რედაქტორია ციური ხეთერელი, რეცენზენტები: ბ.ნემსაძე და ლ.ფრუიძე.

ბიბლიოგრაფიული მაჩვენებელი იძლევა ლადო აღნიაშვილის მოღვაწეობის თითქმის სრულ სურათს. სხვადასხვა თავების მიხედვით მოცემულია ლადო აღნიაშვილის ცხოვრებისა და საზოგადოებრივი მოღვაწეობის მოკლე მიმოხილვა, ძირითადი თარიღები, პედაგოგიური მემკვიდრეობა, შრომების სია, მასალები ლადო აღნიაშვილის ბიოგრაფიისათვის (ცალკე-წიგნებში, ცალკე-ჟურნალებსა და გაზეთებში). ნაჩვენებია, რომელი პერიოდული ორგანოები ათავსებენ მის ნაშრომებს და გადმობეჭდილია მნიშვნელოვანი ამონარიდები პერიოდული ორგანოებიდან, რომლებიც ლადო აღნიაშვილის ღვაწლს შეეხება.

ვფიქრობთ, მოცემული ბიობიბლიოგრაფიული მაჩვენებელი დააინტერესებს სპეციალისტებს. იმდენად, რამდენადაც ბიბლიოგრაფიული მაჩვენებელი, მეთოდიკური თვალსაზრისით, არ არის მოკლებული ნაკლოვანებებს, მოსალოდნელია გამოიწვიოს შენიშვნებიც: ეს კი უკვე ნაშრომის რეცენზირების ამოცანებში შედის, რაც ჩვენ არ დაგვისახავს მიზნად. გვსურს მხოლოდ ვაცნობოთ ჩვენს მკითხველებს ერთი მეტად მნიშვნელოვანი და საინტერესო წიგნის გამოცემის შესახებ.

„ვლადიმერ (ლადო) აღნიაშვილი. ბიობიბლიოგრაფია“ შეადგინა , სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობის მოკლე მიმოხილვა დაურთო ციური ბერიძემ - თბ.: მეცნიერება, 2002. – 82გვ; პარალელურად ქართულ - რუსულ ენებზე.

დარეჯან კოტეტიშვილი

- ბიბლიოთეკათმცოდნეობისა და

ბიბლიოგრაფიის კათედრის უფ.მასწავლებელი.

ჟ. „საქართველოს ბიბლიოთეკა“. 2002, №4-02 გვ 56

Отзыв

на научный труд Ц. А. Беридзе "Владимир (Ладо) Агниашвили.

Биобиблиография." Тб. 2002

Данную биобиблиографию составила и сопроводила кратким очерком о научной и педагогической деятельности Владимира (Ладо) Агниашвили Ц.А. Беридзе. Сразу же хочется отметить, что это колоссальный и кропотливый труд, заслуживающий большого внимания, ибо он содержит не только поиски и оценки многогранной деятельности замечательного педагога и общественного деятеля прошлого, но касается и истории культуры Грузии.

Труд построен на фактическом материале, собранном по архивным документам. Изучена многочисленная периодическая литература конца XIX-начала XX веков, отражающая не только оценку деятельности Владимира (Ладо) Агниашвили его современниками, но, главное, подчеркивающая тот значительный вклад, который он внёс в просвещение и культуру Грузии.

В научной работе проанализированы многогранная деятельность, в том числе педагогическое наследие Л. Агниашвили, дана оценка им и показана та роль, которую сыграли его учебники как по грузинскому, так и по русскому языкам в начальной грузинской школе.

Как отмечается в биобиблиографии, Л. Агниашвили принадлежит русско-грузинский "Карманный словарь", сборник грузинских народных сказок, собранных в народе и многое другое. Но главное, что всегда сопровождало многогранную деятельность Л. Агниашвили - это его искреннее желание поднять на щит большую культуру своей маленькой Родины. Отсюда его обращение к фольклору, его поощрение развития оригинального хорового грузинского пения, его нотных записей. Заслуживает внимания его творческая связь с выдающимся чешским музыкантом Йозефом Навратилом, оставшегося навсегда в Грузии, полюбившего грузинское хоровое пение - многоголосье и пропагандировавшего грузинскую культуру на Западе.

Первый этнографический хор грузинской песни, основанный в 1885 г. по инициативе Владимира (Ладо) Агниашвили, хормейстером которого был Йозеф

Навратил сыграл выдающуюся роль в развитии грузинской культуры, что отражается в данном труде.

Должное внимание уделяется автором роли Л. Агниашвили в развитии грузинского театра, что подтверждается документальными данными.

Особое внимание в работе уделяется отношению современников к деятельности Л. Агниашвили. Высоко ценили его общественную и творческую деятельность такие выдающиеся писатели и педагоги, как И. Чавчавадзе, А. Казбеги, Я. Гогешашиვი и др. Это видно из отзывов, данных в труде.

Активное участие Владимира (Ладо) Агниашвили в деятельности "Общества по распространению грамотности в Грузии" заслуживает особого внимания. В связи с этим Л. Агниашвили выпускает "Новую азбуку", получившую определённый резонанс как оригинальный и интересный труд.

В работе Ц. Беридзе раскрываются и такие факты из жизни и деятельности Л. Агниашвили, как интерес к ферейданским грузинам, проживающим, в силу исторических событий, вне Грузии; Как явствует из труда, он был первым грузином-путешественником, который посетил, а затем поддерживал связь с грузинами, проживающими в Иране.

Как нам известно, Ц. А. Беридзе связалась с родственниками Л. Агниашвили и снабдила биобиблиографию богатым иллюстративным фотоматериалом, а также, изучив генеалогию семьи Л. Агниашвили, приложила её к своему труду. Следует отметить также, что автор труда обнаружила родственников Йозефа Навратила и связалась с ними, по её инициативе Министерство культуры Грузии и Чешское посольство в Грузии торжественно отметили 160-летие со дня рождения Йозефа Навратила в театре им. Руставели 14 июня 2001 года.

Немаловажно отметить, что автор презентуемого труда, помимо научной работы преподаёт в грузинской школе русский язык, показывая на деле, как педагогическое наследие прошлого помогает сегодня решать проблемы как познавательного, так и воспитательного характера. В связи с 140-летием со дня рождения Л. Агниашвили Ц. Беридзе провела городской открытый урок в III классе, внеклассное мероприятие в школе искусств г. Рустави.

Благодаря научным изысканиям Ц. Беридзе возродится имя Л. Агнишвили, который в течение 40 лет незаслуженно был предан забвению.

Нам представляется, что труд Ц. Беридзе ценен именно тем, что в нём имеется попытка возродить пласты культуры прошлого, богатого педагогического наследия, выдающегося грузинского педагога, этнографа, общественного деятеля Л. Агнишвили, который нес весомый вклад в воспитание не одного поколения. И сегодня, когда произошли фундаментальные изменения в обществе, когда в современное школьное преподавание широко внедряется европейская методика обучения, не надо забывать, что, наряду с новыми методами, вносящими разнообразие и, безусловно, вызывающими интерес, имеется своё национальное педагогическое наследие, связанное с замечательными традициями и национальной самобытностью грузинского народа, что наполняет каждого грузина чувством гордости. Надо беречь и передавать всё это от поколения к поколению.

Труд Беридзе Ц. А. заслуживает высокой оценки и поощрения.



Б. Ф. Немсадзе

Б. Ф. Немсадзе -
кандидат пед. наук, доцент кафедры
методик преподавания иностранных языков
Республиканского института повышения
квалификации переподготовки учителей.

III. ნიშნის რეკონსტრუქცია

MULTIDISCIPLINARY ABSTRACTS
ON THE CAUCASUS
(SOCIAL AND HUMANITARIAN SCIENCES)

№ 2

КАВКАЗСКИЙ
РЕФЕРАТИВНЫЙ ЖУРНАЛ
(ОБЩЕСТВЕННЫЕ И ГУМАНИТАРНЫЕ НАУКИ)

Тбилиси - 2003 - Tbilisi

Беридзе Ц. - Владимир (Ладо) Агниашвили.
Биобиблиография. - Тбилиси: Мецниереба -
2002 - 82 с. - на ~~английском~~ ^{и русской} языках

Представленная ниже биобиблиография Владимира (Ладо) Агниашвили, которая включает изданную за 20 лет литературу (1883-1904), составлена на основе научного и документального материала в результате работы над источниками в Национальной парламентской библиотеке имени Ильи Чавчавадзе, в центральном государственном историческом архиве Грузии, в отделе рукописей Государственного музея грузинской литературы им. Г. Леонидзе. Впервые сделана аналитическая библиография изданных Владимиром (Ладо) Агниашвили книг, статей и публикаций о нем в грузинских журналах, газетах и сборниках, осуществлена этнографическая экспедиция в село Шильда Кварельского района с научной целью, в результате чего добыты интересные фотоматериалы и изучена семейная генеалогия Агниашвили.

Материал "Биобиблиографии" подан в хронологически-алфавитном порядке и состоит из шести глав и восьми приложений.

В первой главе дан краткий обзор жизни и деятельности Владимира (Ладо) Агниашвили. Во второй главе - основные даты жизни и творчества Владимира (Ладо) Агниашвили. В третьей главе раскрывается педагогическое наследие Владимира (Ладо) Агниашвили (учебники, литература учебно-воспитательного и познавательного характера для подрастающего поколения). Следующая, четвертая глава содержит список трудов Владимира (Ладо) Агниашвили. В пятой главе дан перечень книг, журналов и газет, которые освещают отдельные стороны биографии Агниашвили. В шестой главе представлены рецензии и отклики на его педагогическую и общественную деятельность (XIX в.). Используется как дешифрация, так и цитирование (частичное и полное).

Культура

В приложении дан тот фактический материал, который подтверждает проведение практических мероприятий, организованных по инициативе автора данного труда и посвященных 140-летию со дня рождения этого выдающегося сына Грузии - Владимира (Ладо) Агниашвили, как дань уважения к его заслугам.

Кавказский реферативный журнал, №5, 2003. Культура, Беридзе Ц. Владимир (Ладо) Агниашвили. Библиография. стр. 239, стр. 75-на англ. языке.

Beridze Ts. - Vladimer (Lado) Aghniashvili.
Bio-bibliography. - Tbilisi: Metsniereba
- 2002 - 82 p. - in Georgian.

The presented "Bio-bibliography of Vladimer (Lado) Aghniashvili" includes the literature published during the period of twenty years (1883 - 1904), and is composed on the basis of scientific and documentary materials of the Central State Historical Archive of Georgia (CSHAG), Georgian Parliamentary National Library named after I. Chavchavadze and Department of Manuscripts of G. Leonidze State Museum of Georgian literature. First, there is the full analytical bio-bibliography of books edited by Aghniashvili and articles about him published in Georgian journals, magazines and collections. With the purpose of investigation an ethnographical expedition was made in Shilda Village, Kvareli Region, as a result of which we obtained the interesting photo-materials and studied Aghniashvili's family genealogy.

The material is given in chronological and alphabetical order and consists of six chapters and eight enclosures.

The first chapter is a review of Aghniashvili's life and activities. The second chapter includes the main dates of Aghniashvili's life and creative works. The third chapter is dedicated to Aghniashvili's pedagogical heirloom (books, literature of educational and cognitive characters for the young generation). The fourth chapter includes the list of Aghniashvili's works. The enumeration of books, journals and newspapers, which makes clear the separate sides of Aghniashvili's biography, is presented in the fifth chapter. The sixth chapter consists of reviews and responses to Lado Aghniashvili's pedagogical and social activities (XIX century). The use of decipher and quotation is permitted (partially and completely).

The enclosure contains the factual material, which verifies the practical measures, dedicated to Aghniashvili's 140 year birthday anniversary, which was made with the purpose of appreciation of such a great man's merit.

IV. გამომავალი ნიგნა
„ვლადიმერ (ლადო) აღნიაშვილი.
ცხოვრება და მოღვაწეობა“
(თბ. 2010, გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“, 250 გვ.)

* * *

რუსთავში მოღვაწე პედაგოგმა და შემოქმედმა ციური ბერიძემ, მართლაც რომ, დიდი ეროვნული საქმე გააკეთა. თითქმის მივიწყებული მამულიშვილის, პირველი „ქართული ხოროს“ დამაარსებლის, გამოჩენილი ქართველი პედაგოგის, საზოგადო მოღვაწის, ლინგვო-დიდაქტიკოსისა და ლექსიკოგრაფის, ფოლკლორისტიკისა და ეთნოგრაფის, პუბლიცისტის, ვლადიმერ (ლადო) აღნიაშვილის, ცხოვრებისა და მოღვაწეობისადმი მიძღვნილი სქელტანინი და კარგად ილუსტრირებული ნიგნი „ვლადიმერ (ლადო) აღნიაშვილი. ცხოვრება და მოღვაწეობა“ (თბ., 2010) გამოსცა და ნაშრომი უსასყიდლოდ დაურიგა დაინტერესებულ როგორც სასულიერო, ასევე საერო პირებს. აღსანიშნავია, რომ ეს ნიგნი მიეძღვნა ვლადიმერ (ლადო) აღნიაშვილის დაბადებიდან 150-ე, იოზეფ რატილის დაბადებიდან 170-ე და „ქართული ხოროს“ დაარსების 125 წლისთავს.

ჟამთაგულამ ბევრი მტვერი მიაყარა ლადო აღნიაშვილის ცხოვრების ფურცლებს. ავტორს, ციური ბერიძეს, დიდი და ხანგრძლივი შრომა დასჭირდა, რათა მოეძია საჭირო მასალები, გაეცოცხლებინა ერისდიდებულის ნარსული. საამისოდ ნაღობითიძებდა მასალებს, როგორც პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკის, ისე გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებაში, იკონოგრაფიულ კოლექციაში, საქართველოს ცენტრალურ სახელმწიფო საისტორიო არქივში. თუმცა ვერ დაიცვა დისერტაცია მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, შექმნა ეს ფრიად საინტერესო და საჭირო ნიგნი. მასში ასევე გამოყენებულია თითქმის მივიწყებული ხელმოწერილი ლადო აღნიაშვილის მიერ თავის დროზე დაწერილ ნიგნებში, ქართულ ჟურნალ-გაზეთებსა და სხვა კრებულებში გამოქვეყნებული მასალები. ნიგნში მრავლადაა ჩართული უნიკალური ფოტოდოკუმენტები.

ლადო აღნიაშვილმა მთელი თავისი ცხოვრება, ცოდნა, გამოცდილება, ნიჭი მოახმარა სახალხო განათლებას, ქართული კულტურის განვითარების უკეთესობილეს საქმეს და ერის თვითმყოფადობის დაცვას. ერთი სიტყვით, მან მთელი ეპოქა შექმნა ქართულ კულტურასა და ხელოვნებაში. ნიგნმა გამოსვლისთანავე როგორც სპეციალისტების, ასევე ფართო საზოგადოების მაღალი შეფასება დაიმსახურა.

მიუხედავად იმისა, რომ ნიგნი მეცნიერული ნაშრომია, ფრიად სასიამოვნოდ იკითხება.

გივი ჯახუა -

დავით კლდიაშვილის, სერგეი მესხის და საქართველოს მწერალთა კავშირის პრემიების ლაურეატი,
საქ. დამს. ჟურნალისტი, ქვ. ქართლის
მწერალთა ასოციაცია „რუსთაველის“ დამფუძნებელი.
გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“,
2011 წლის 5 თებერვალი, 24 (6635), გვ. 6.

კარგი ნივნი ღირსეულ მამულიშვილზე

XIX საუკუნე კაცობრიობის ისტორიაში კულტურის ზეობის საუკუნედ დამკვიდრდა, რადგან ძველი, კლასიკური ქვეყნების ეროვნულ (ელიტარულ) კულტურებს მრავალსაუკუნოვანი არსებობის განმავლობაში არასოდეს მიუციათ კაცობრიობისათვის იმდენი დიდი ნიჭის მოღვაწე, გენიალური შემოქმედი, კულტურტრეგერი, ეროვნული იდეალების გულანთებული მსახური, რამდენიც ამ ასწლეულს. შეიძლება ითქვას, რომ სწორედ ამ საუკუნემ გაასრულა ნაციონალური ელიტარული კულტურების ღირებულებების ფორმირება, მისცა ის სახე და შინაარსი, რითაც დღესაც განისაზღვრება მათი თავისთავადობა.

განსაკუთრებული კეთილნაყოფიერებით გამოირჩა მწერლობა, კაზმულსიტყვაობა. მსოფლიო ლიტერატურის საგანძურს დასავლეთის ქვეყნებმა გამოგნებლად ბევრი ისეთი ხელოვანი შესძინეს, რომელთა ნიჭიერება ვერანაირად ვერ თავსდება ეროვნული კულტურის ღირებულებით სივრცეში.

ქართული სინამდვილე ამ თვალსაზრისით, საბედნიეროდ, გამონაკლისი არ ყოფილა. XIX საუკუნის დასაწყისში საქართველო არა მხოლოდ შებრუნდა დასავლური ცივილიზაციისაკენ, არამედ ამ ცივილიზაციის კულტურული ცნობიერების ანგარიშგანევით ჩაება ქართული ნაციონალური კულტურის დიდ შესაქმეში. ამ კულტურის სათავეების ძიებამ, ბუნებრივია, განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა, ხოლო თავად კულტურული აღმშენებლობის პროცესი ევროპეიზმისა და ევროპეიზაციის ტვიფრით აღიბეჭდა.

XIX საუკუნის ქართული კულტურული ცნობიერების სივრცეში ევროპეიზმის გამოვლენის ერთი ფორმა შეადგინა ეროვნული ხალხური ყოფითი კულტურის, ზეპირსიტყვიერების და ხალხური სიმღერის შესწავლამ, ტრადიციულ ყოფაში გამოვლენისა და პოპულარიზების ინტენციებმა. ამ მძლავრ კულტურულ მოძრაობას ასაზრდოებდა და თეორიულ საყრდენებს უქმნიდა ჰერდერიდან მომდინარე მაქსიმა, რომლის თანახმადაც ხალხის სული მის სიმღერებში უნდა ვეძებოთ. ქართული ხალხური სიმღერა ხომ მართლაც მთელი სისავსით აირეკლავს ქართული სულის მღერას. ამას მშვენივრად გრძნობდა შინაურიც და გარეუღლიც. ამიტომ გაიშალა ფართოდ XIX საუკუნეში ხალხური სიტყვიერი და მუსიკალური კულტურის ტრადიციათა გამოსავლენად და მათი პოპულარიზებისათვის ფოლკლორული მოძრაობა. პროფესიონალურ სიტყვიერ და მუსიკალურ კულტურაზე უფრო მეტი მნიშვნელობა ფოლკლორმა შეიძინა, როგორც მთლიანად ხალხის კულტურული ცნობიერების მარკერმა.

ლადო აღნიაშვილი ამ მოძრაობის ერთ-ერთი თვალსაჩინო და უღლის გამწევი მუშაკი ბრძანდებოდა. თითქოს ეპოქამ დაბადებამდე „მოძებნა“ იგი და გენეტიკით განუსაზღვრა ეროვნული კულტურის აზრწარმომჩენი მსახურება. ამ გარემოებაზე ის მიგვანიშნებს, რომ ბუნებამ „ეპოქის კარნახით“ სწორედ იმგვარი და იმდენმხრივი ნიჭი დაანათლა, რანაირი და რამდენნაირიც სჭირდებოდა ლადო აღნიაშვილს ამქვეყნიური მისიის აღსრულებისათვის. იგი ამიტომ მოგვევლინა პირველი ფოლკლორული გუნდის — „ქართული ხოროს“ დამაარსებლად, ფოლკლორისტად, ეთნოგრაფად, მოღვაწედ, პედაგოგად... ასეთი რანგის მოღვაწის საქმიანობა, ცხადია, არც მის თანამედროვე ქართველ საზოგადოების და არც შემდეგი დროის ქართული სიტყვიერი და სამუსიკო ფოლკლორის, ეთნოგრაფიის, საერთოდ, ქართული კულტურის ისტორიკოსების ყურადღების მიღმა დარჩენილა.

ლადო აღნიაშვილზე მის სიცოცხლეშიც ბევრს წერდნენ და შემდეგაც. დანვრილებით

არის შესწავლილი მისი ნაღვანი ქართული ზეპირსიტყვიერების, ეთნოგრაფიის, სამუსიკო ფოლკლორის სფეროებში (მ. ჩიქოვანი, ქს. სიხარულიძე, ი. იმედაშვილი, ივ. ჯავახიშვილი, თ. ჯავაღნიშვილი და ა.შ.). მიუხედავად ამისა, ლადო აღნიაშვილის მოღვაწეობის ცალკეული სფეროები ფართო მკითხველი საზოგადოებისათვისაც კი ნაკლებად იყო ცნობილი. ეს უპირველესად შეეხება ლადო აღნიაშვილის პედაგოგიურ მოღვაწეობას, მის ლექსიკოლოგიურ ნაღვანს, ლინგვოდიდაქტიკურ ნააზრევს და ა.შ. ეს ყველაფერი კი დაჟინებით ცხადყოფდა ლადო აღნიაშვილის ცხოვრება-მოღვაწეობის მონოგრაფიული შესწავლის აუცილებლობას. ამ საპატიო მისიის აღსრულების გზას კარგა ხანია ადგას ენერგიული, დაუცხრომელი და საინტერესო ხედვის, კვლევა-ძიებით აღლოს მქონე მკვლევარი ციური ბერიძე.

ციურიბერიძეჩემისიყრმე—სიჭაბუკისქალაქის—რუსთავისმკვიდრიადაპროფესიულ ინტერესებთან ერთად ამის გამოც ვადევნებ თვალს მის მეცნიერულ საქმიანობას. იგი გაცხადებს ინვესს არა მხოლოდ მუყაითობით, არამედ კვლევების სისტემატურობითა და მიზანმიმართულობით.

ციური ბერიძე დღეს ის მკვლევარია, რომელმაც დიდი წვლილი შეიტანა ლადო აღნიაშვილის ცხოვრების გზისა და შემოქმედებითი მემკვიდრეობის შესწავლაში. მან 2002 წელს გამოსცა მშვენიერი წიგნი „ვლადიმერ (ლადო) აღნიაშვილი. ბიობლიოგრაფია“, რომელიც, ფაქტობრივ, ლადო აღნიაშვილის ინტელექტუალური მემკვიდრეობის შესწავლისათვის მზაობის სერიოზულ განაცხადს წარმოადგენდა. ამ განაცხადის რეალიზება მან მართლაც შეძლო. ასეთი წიგნი ციური ბერიძემ მართლაც დაწერა და 2010 წელს კიდევაც გამოსცა სათაურით „ვლადიმერ (ლადო) აღნიაშვილი ცხოვრება და მოღვაწეობა“ (გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“, რედაქტორი ციური ხეთერელი). მონოგრაფია ეძღვნება ლადო აღნიაშვილის დაბადების 150, „ქართული ხოროს“ დაარსების 125 და „ქართული ხოროს“ პირველი ლოტბარის, იოსებ რატილის დაბადების 170 წლისთავებს.

მონოგრაფიაში საარქივო დოკუმენტების, პრესის მასალების, სპეციალური ლიტერატურის დამუშავების საფუძველზე ავტორმა შექმნა ლადო აღნიაშვილის ცხოვრების წიგნი, რომელიც ქართული კულტურის ისტორიის მშვენიერი შენაძენია. ამ წიგნის ყველა ღირსების ჩამოთვლაც კი შორს წაგვიყვანდა. აქ და ამ შემთხვევაში ერთს ვიტყვი: ლადო აღნიაშვილის ცხოვრება-მოღვაწეობის შესახებ მსგავსი წიგნი (ინფორმაციული სისრულით და არაერთი უცნობი ფაქტის გამოვლენის თვალსაზრისით) არ დაწერილა. მონოგრაფია, უდავოდ, ავტორის დიდი გამარჯვება და მისი მომავალი შემოქმედებითი წარმატებების მრავლისმეტყველი მაცნეა. იგი, უდავოდ, დაიკავებს კუთვნილ ადგილს ქართული კულტურის ისტორიაში.

თემურ ჯავაღნიშვილი

საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი,
საქართველოს ლიტერატურისმცოდნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი,
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, სრული პროფესორი,
ილია ჭავჭავაძის სახელობის საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის
ჰუმანიტარულ-სოციალური ფაკულტეტის დეკანი,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის კომუნიკატივისტიკისა და სიძველეთა
ინჟინერინგის პროგრამული მიმართულების კურატორი.
2011 წლის 28 ნოემბერი

* * *

წარსულის გამოჩენილ მოღვაწეთა შემოქმედება, განსაკუთრებით პედაგოგიური მემკვიდრეობა, არასოდეს კარგავს ძალასა და მნიშვნელობას. ჭეშმარიტებაა, რომ ყოველი ახალი ცხოვრებისეული პრობლემის ოპტიმალურად გადაჭრის საშუალებად ოდითგანვე ითვლებოდა წარსულის ძვირფას მონაპოვართა მეცნიერულ-კრიტიკულად და შემოქმედებითად ათვისება, ისტორიულ ასპექტში შეფასება-გაანალიზება და ამ გზით მისი თანამედროვეობის სამსახურში ჩაყენება.

დღეს განსაკუთრებით სასიხარულო და მისასალმებელია იმ მოღვაწეთა შესახებ ნებისმიერი მასალის მოპოვება, შესწავლა და საზოგადოებისთვის გაცნობა, მით უმეტეს მონოგრაფიის სახით ნაშრომის შექმნა, რომელთა ძალისხმევაც ფასადაუდებელია ქართული გონისა და კულტურის აღმასვლის საქმეში.

შესანიშნავი მაგალითი მოგვცა ნიჭიერმა პედაგოგმა და მკვლევარმა ციური ბერიძემ. მან მაღალმეცნიერულ დონეზე იკვლია და ერთ წიგნად შეკრული მიაწოდა ქართულ საზოგადოებას ნაშრომი - „ვლადიმერ (ლადო) აღნიშვილი. ცხოვრება და მოღვაწეობა“ (თბ., 2010). ავტორმა შეძლო სრულად, მთელი სიღრმით წარმოეჩინა პირველი „ქართული ხოროს“ დამაარსებლის, ცნობილი პედაგოგის, საზოგადო მოღვაწის, ლინგვისტის, ლექსიკოგრაფის, ეთნოგრაფისა და ფოლკლორისტის ლადო აღნიშვილის ნაყოფიერი ცხოვრებისა და საქმიანობის შთამბეჭდავი სურათი.

წიგნის გაცნობა აუცილებლად გაგახსენებთ ილიას სიტყვებს, ლადო აღნიშვილის მსგავს მამულიშვილებზე რომ აქვს ნათქვამი: „ვინატროთ, რომ შემცვლელთა და შემავსებელთა ხანდახან ყურიათ ხოვონისტორიას, ზოგჯერ უკანაც მოიხედონ და ზოგიერთი რამ შეითვისონ იმ დიდბუნებოვან ჰუმანისტ პედაგოგთაგან, რომელთაც უმოძღვრეს კაცობრიობას ბევრი რამ მოზარდის თაობის საკეთილდღეოდ და საბედნიეროდ“.

დიახ, დღეს განსაკუთრებით გვჭირდება იმ ფესვების მოჩხრეკა, რაზეც დგას უმდიდრესი ქართული კულტურა და მთელი მისი ისტორია. იმ წინაპართა საქმიანობის გაცნობა, რომელთა გონების ფილტრშიც გაუვლია ურთულეს პედაგოგიურ, ესთეტიკურ თუ ფილოსოფიურ შეხედულებებს.

ციური ბერიძის მრავალმხრივ საინტერესო მონოგრაფიაში, საარქივო მასალებსა და პირველწყაროთა შესწავლის გზით, დამაჯერებლადაა მიმოხილული პედაგოგიური აზრისა და საზოგადოებრივი მოძრაობის მდგომარეობა მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოში. „სამოციანელთა“ როლი და მათი რეფორმისტული საქმიანობის არსი. ამ კონტექსტში საყურადღებოა ლადო აღნიშვილის პედაგოგიური მოღვაწეობის ასპექტები, მისი დიდაქტიკური შეხედულებები. კერძოდ, დამოკიდებულება არამშობლიური ენების ეფექტურად სწავლების საკითხებისადმი.

ავტორი საინტერესოდ მოგვითხრობს ლადო აღნიშვილის „ოჯახში საკითხავი „ახალი ანბანის“ შექმნის ისტორიაზე, კლასგარეშე კითხვის როლის შესახებ მის მოსაზრებებზე, სტატიების ციკლზე - „საკვირველებანი ბუნებისა“ და სხვა, რითაც პირველად გვეძლევა სრული შესაძლებლობა გავეცნოთ ლადო აღნიშვილის ადგილს ქართული პედაგოგიკის ისტორიაში, რომელსაც დადებითად ახასიათებდნენ თანამედროვენი (ი.გოგებაშვილი, ა. ფურცელაძე).

ბუნებრივია, წიგნში სოლიდური ადგილი ეთმობა ლადო აღნიშვილის როლს ქართული მუსიკალური კულტურისა და ფოლკლორისტიკის განვითარებაში, მის ღვაწლს ქართული ხალხური სიმღერების ეთნოგრაფიული გუნდის - „ქართული ხოროს“ ჩამოყალიბებაში.

ჭეშმარიტი მამულიშვილობისა და, შეიძლება ითქვას, გმირობის ტოლფასს - მის მოგზაურობას სპარსეთში იქ მცხოვრებ ქართველთა მიერ შემონახული ზნე-ჩვეულებებისა და მუსიკალური ფოლკლორის გასაცნობად და სხვა.

ავტორი ასევე საინტერესოდ მოგვითხრობს ლადო აღნიაშვილზე, როგორც ქართული თეატრის გამორჩეულ გულშემატკივარზე, ნიჭიერ პუბლიცისტზე, გამომცემელზე, ქართულ სოფელსა და მის სატკივარზე დაფიქრებულ და მზრუნველ მოღვაწეზე, ქართული უმდიდრესი ფოლკლორული მასალების, კერძოდ, ქართული ზღაპრების ინგლისურ ენაზე თარგმნის ცდაზე და ა.შ.

ნაშრომს ახლავს ფრიად საინტერესო ფოტო-მასალები, თანამედროვეთა მოგონებანი, ლადო აღნიაშვილის სტატიები, რომლებიც მეტ ემოციურ ფონს აძლევენ ციური ბერიძის ისედაც სრულყოფილ გამოკვლევას.

ვფიქრობ, მიმოხილული მონოგრაფია, ერთი წარმატებული ცდაა წარსულის რეალობათა გასაცოცხლებლად, იმ დიდ პატრიოტთა ღვაწლის წარმოსაჩინად, რომლებიც უმძიმეს პერიოდში ახერხებდნენ ქართული სულის შენარჩუნებას და განმტკიცებას და რომელთა ნააზრევის წვდომა და გამოყენება ასე რიგად სჭირდება დღევანდელ საქართველოს.

პროფესორი - თ. კარანაძე
20.11.2010

უსამართლოდ მივიწყებული დიდი ეროვნული მოღვაწე

ლადო აღნიაშვილი უსამართლოდ მივიწყებული თვალსაჩინო ქართველი მოაზროვნეა, რომელიც XIX საუკუნის 80-იან წლებში ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, იაკობ გოგებ-აშვილის და სხვა სამოციანელთა მხარდამხარ მოღვაწეობდა და რუსეთის იმპერიის მიერ კოლონიად ქცეულ საქართველოს გათავისუფლებისთვის თავდადებით იბრძოდა.

დუმილი მოულოდნელად რუსთაველმა მასწავლებელმა ციური ბერიძემ დაარღვია, მან ვლადიმერ (ლადო) აღნიაშვილის ბიბლიოგრაფია შეადგინა, სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობის მოკლე მიმოხილვა დაურთო და თავისი მოკრძალებული სახსრებით გამოსცა (თბ., 2002). ხანგრძლივი შრომის შედეგად შედგენილი ბიო-ბიბლიოგრაფია სწორად წარმართული კვლევა-ძიების დასტურია.

პედაგოგმა-მკვლევარმა მეცნიერული მუშაობა თავისი შესაძლებლობებით განაგრძო და 2010 წელს მისი ავტორობით მივიღეთ შესანიშნავი მონოგრაფია „ვლადიმერ (ლადო) აღნიაშვილი. ცხოვრება და მოღვაწეობა“, რომელიც ეძღვნება ამ სამაგალითო ეროვნული მოღვაწის დაბადებიდან -150, „ქართული ხოროს“ დაარსების - 125 და იოსებ რატილის დაბადებიდან 170-ე წლისთავს. წიგნი დაიბეჭდა საქართველოს კულტურის და ძეგლთა დაცვის მაშინდელი მინისტრის, ნიკა რურუას, ფინანსური თანადგომით, ანზორ ერქომაიშვილის შუამდგომლობით.

300 ეგზემპლარად გამოქვეყნებული მონოგრაფია მაშინვე ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად იქცა. ავტორმა შეძლო ეპოქალური მოვლენების ფონზე სრულფასოვნად გადმოეცა ამ ფრიად საინტერესო, ჭეშმარიტად ეროვნული მოღვაწის ბიოგრაფია და შემოქმედება.

პირველ თავში ასახულია პედაგოგიური აზრი და საზოგადოებრივი მოძრაობა საქართველოში XIX ს-ის II ნახევარში, შემდეგ ნაჩვენებია ლადო აღნიშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ძირითადი ეტაპები, დიდაქტიკური შეხედულებანი, მისი ღვაწლი ქართულ ფოლკლორისტიკასა და ეთნოგრაფიაში. სრულფასოვნადაა ნაჩვენები ლადო აღნიშვილი, როგორც ქართული თეატრის ამაგდარი, პუბლიცისტი, გამომცემელი და ა.შ.

ქართული სინამდვილიდან ძნელია დავასახელოთ ასეთი მრავალმხრივი შემოქმედი და მამულიშვილი, როგორც იყო ვლადიმერ (ლადო) აღნიშვილი.

მოცემულ ეპოქაში შაჰ-აბასის მიერ ირანში გადასახლებულმა ფერეიდნელმა ქართველებმა დედამამშობლოს შეახსენეს თავი და შორეული ფერეიდნიდან საქართველოში საგანგებო დელეგაცია ჩამოვიდა. ქართულმა საზოგადოებრიობამ სიხარულით მიიღო ისინი, რომელთაც სამსაუკუნე-ნახევრის ტყვეობის შემდეგაც შეინარჩუნეს ქართული ენა და დაკარგული სამშობლოს უკიდევანო სიყვარული. ლადო აღნიშვილი ერთ-ერთი პირველი ქართველი გახლდათ, რომელმაც უყოყმანოდ გადადო ყოველი საქმე და საკუთარი ხარჯითა და სიცოცხლის რისკით (მაშინდელ ირანში ყარიბი მოხალისის მოგზაურობა თავგანწირვა იყო) ფერეიდანში იმოგზაურა. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ გამოსცა შესანიშნავი წიგნი „სპარსეთი და იქაური ქართველები“ (თბ., 1896). ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად ქცეულ ამ დიდებულ ნაშრომს დღემდე მზრუნველი და გამომცემელი არ გამოუჩნდა, მიუხედავად იმისა, რომ რუსთაველი პედაგოგი ციური ბერიძე ლადო აღნიშვილის პოპულარიზაციისთვის ყველაფერს აკეთებს...

თითქმის ათი წელია, რაც აღნიშვილების გვარმა თავისი საგვარეულო კავშირი შექმნა. ვიდრე ეროვნული სახელმწიფო ეროვნულ მოღვაწეებზე ზრუნვას დაიწყებდეს, იქნებ აღნიშვილების საგვარეულო კავშირმა შეძლოს ამ უსამართლოდ მივიწყებული სამაგალითო ეროვნული მოღვაწის ფართო საზოგადოებისთვის დაბრუნება.

ლევან ფრუიძე -

ისტორიკოსი, ეთნოგრაფი

საქართველოს საგვარეულო კავშირის -

„გვარი და გვარიშვილობა“ -ს თავმჯდომარე

20.03.2015

* * *

მადლობა უფალს, ყოფიერება ყოველთვის და, თანაც, გადამწყვეტი დროით არ განსაზღვრავს ცნობიერებას. საბედნიეროდ, პირიქითაც ხდება: ცნობიერება განსაზღვრავს ყოფას... ასე რომ არ იყოს, მეცნიერება, განათლება, კულტურა ვერ განვითარდებოდა, ერთ ნერტილში გაიყინებოდა... მოკვდებოდა.

ჩვენს საუკუნეში, რომელსაც „ღირებულებათა გადაფასების საუკუნე“ ჰქვია, მაინც იწერება და ისტამბება ეროვნული სულისკვეთების წიგნები ჩვენი ერის დიდ მამულიშვილებზე.

დღეს ჩვენ უნდა მოვეფეროთ ერთ ასეთ ნიჭიერ შემოქმედ მკვლევარს ციური ბერიძეს, რომელმაც შექმნა შესანიშნავი მონოგრაფია — „ვლადიმერ (ლადო) აღნიშვილი, ცხოვრება და მოღვაწეობა“.

ჩემი მიზანი არ არის ამ საპრეზენტაციო წიგნის რეცენზირება, ამ როლს მე სხვებს — პროფესიონალ ლიტერატურათმცოდნეებსა და კრიტიკოსებს დავუთმობ. მე კი, როგორც მკითხველი, ჩემს მოკრძალებულ აზრს, შთაბეჭდილებას შემოგთავაზებთ...

ყველა მკითხველს, ბუნებრივია, აქვს ამა თუ იმ ნაწარმოების, ამ შემთხვევაში წიგნის შეფასების თავისი, საკუთარი კრიტერიუმი. პირადად მე მიმაჩნია, რომ წიგნის ღირსებას, მის სიავეარგეს, ძირითადად, სამი რამ განსაზღვრავს: პირველი — ის, თუ რა თემას შეეხო ავტორი, რა შეისწავლა, რა გამოიკვლია; მეორე — როგორ შეისწავლა, ხომ არაფერი გამორჩა შესასწავლი და გამოსაკვლევი, ნებით თუ უნებურად, სხვებს ხომ არ დაუტოვა მთავარი გასარკვევი და მესამე — რამდენად მიმზიდველად, გასაღებად და მისაღებად მიიტანა თავისი ნაშრომ-ნაღვანი იმასთან, ვისთვისაც გაისარჯა, ვისთვისაც დაიხარჯა, ანუ მკითხველთან... ეს სამივე მომენტი, რა თქმა უნდა, რიგითობისთვის, თორემ ყველა მთავარია, ყველა პირველი და უპირველესია...

ახლა, შეძლებისდაგვარად, შევეცდები გავშიფრო ჩემ მიერ ზემოთ მოყვანილი სამივე კრიტერიუმი.

პირველი — წიგნის თემა, არჩევანი. ვინ იყო ლადო აღნიაშვილი საერთოდ მისი თანამედროვეებისათვის და განსაკუთრებით, მომდევნო თაობებისათვის, ჩვენთვის, ქართველებისათვის? მოვიშველიებ ერთ აბზაცს ამ წიგნიდან: „ბედმა არგუნა ლადო აღნიაშვილს ყველაფერში პირველობა: 1881-83 წებში იგი იყო ქართული და რუსული ენის მასწავლებელი სათავადაზნაურო სასწავლებელში, პირველი ქართული ხალხური სიმღერების გუნდის — „ხოროს“ დამაარსებელი (1885.), პირველი ქართველი ფერეიდანში“.

და განა მართო ეს? ლადო აღნიაშვილს ამის მეტი რომ არაფერი გაეკეთებინა, ის მაინც დიდმა მამულიშვილი, დიდმოღვაწე, დიდი ქართველი იქნებოდა, პირნათელი იქნებოდა ჩვენი ქვეყნის, ერის წარსულის, აწმყოსა და მომავლის წინაშე. მაგრამ ამ ყველაფერთან ერთად, იგი იყო, „სამოციანელების“ — ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, გიორგი წერეთლის, ნიკო ნიკოლაძის, სერგეი მესხის, იაკობ გოგებაშვილის, ილია წინამძღვრიშვილის, ნიკო ცხვედაძის თანამედროვე და თანამებრძოლი, მათი იდეებისა და საქმის ხორცშემსხმელი, „ახალი აზნანის“, რუსული ენის სახლმძღვანელოს, წიგნის — „სპარსეთი და იქაური ქართველები“-ს ავტორი, რუსულ-ქართული უბის ლექსიკონის შემდგენელი, ქართული ხალხური ზღაპრების შემგროვებელი, ქართული თეატრის გულშემატკივარი და მოჭირნახულე, საბავშვო მწერალი, პუბლიცისტი და გამომცემელი, „ქართველთა სააღმსახურებო მიცემო ამხანაგობა „შუამავლის“ დამაარსებელი...

ეს ყველაფერი კი, დამეთანხმებით, ერთი კაცისათვის ცოტა როდია. ჭეშმარიტად, ძნელია ლადო აღნიაშვილის ღვაწლის სრულიად ჩამოთვლა და აღნუსხვა... და, რაც მთავარია, რასაც ის აკეთებდა და გააკეთა, ყველაფერი საკუთარი სახსრებით, ყოველგვარი მხარდაჭერისა და თანადგომის გარეშე... და რაც ასევე მთავარია, თავისი არცთუ ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე!

აი, ასეთი კაცი, ასეთი მოღვაწე, ასეთი ქართველი, ჯერ საავადმყოფოში მოხვდა, როგორც სულით ავადმყოფი, შემდეგ კი, 44 წლის ასაკისა, გარდაიცვალა... ბუნებრივია, ჩნდება კითხვა: რატომ? რა მოხდა?

ახლა, მოდით, ყველამ ჩვენ ჩვენს გულში ჩავიხედოთ და ვაღიაროთ: ციური ბერიძის ამ წიგნამდე განა ამდენი ვიცოდით ლადო აღნიაშვილზე?

მე ვერ ვიტყვი, რომ ქალბატონმა ციურმა დავინწყებას გამოსტაცა ლადო აღნიაშვილის სახელი. ლადო აღნიაშვილი ისეთი მრავალმხრივი, გულმხურვალე და ნაყოფიერი მოღვაწე

იყო, ჩრდილში მისი დიდხანს ყოფნა შეუძლებელი იქნებოდა. მისი გახსენება, მისი ღვაწლის სრულიად წარმოჩენა ელოდა ავტორს, ქართული კულტურით დაინტერესებული ადამიანის კალამს და ციური ბერიძეს არგუნა ბედმა ეს... ამ წიგნით ლადო აღნიშვილზე ჩვენი ცოდნა მან გააღრმავა და გაამდიდრა...

როგორც ამ წიგნიდან ცნობილი ხდება, 1960 წელს საქართველოში აღნიშნულია ლადო აღნიშვილის დაბადებიდან 100, ხოლო 2004 წელს კი, გარდაცვალებიდან 100 წლისთავი. მაგრამ, როგორც ჩანს, არავის მოსვლია აზრად, რომ ლადო აღნიშვილის ნეშტი კუკიის სასაფლაოდან დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში გადაესვენებინათ, სხვა ღირსეული მამულიშვილების ახლოს დაეკრძალათ და ამით მცირედი ვალი მაინც მოეხადათ მისი ხსოვნის წინაშე.

როგორც ამ მაგალითიდანაც ჩანს, ჩვენ, ქართველები, როგორც არ უნდა ვიქებდეთ თავს, როცა დიდ ადამიანებს ვკარგავთ, მაშინ ვხვდებით, ვინ დავკარგეთ, ზოგჯერ მაშინაც კი, მათი დაკარგვის შემდეგაც ვერ ვაცნობიერებთ...

მეორე — როგორი კვლევა-ძიება ჩატარდა, რა დოკუმენტურ თუ საარქივო მასალებზე დაყრდნობით? ამ კითხვას მოკლედ ვუპასუხებ: ისე საფუძვლიანად, ისე სიღრმისეულად, რომ, ვფიქრობ, ლადო აღნიშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შემდგომი შესწავლის მსურველებს თითქმის აღარაფერი დაუტოვა შესასწავლი და გამოსარკვევი.

მესამე — რაც შეეხება წიგნის დიზაინს, სტრუქტურას, ამ ჟანრის წიგნისათვის დამახასიათებელია და ტრადიციულია, დაწერილია კარგი ქართულით, სადა, დახვეწილი სტილით, ძუნწი, მრავალსიტყვაობას მოკლებული, ტევადი ფრაზებითა და წინადადებებით, სასიამოვნოდ საკითხავია, როგორც მეცნიერებისათვის, ასევე ფართო მკითხველისათვის. დარწმუნებული ვარ ეს ნაშრომი დაიმსახურებს ყველა მომთხოვნი და გემოვნებინი მკითხველის მოწონებას და აღიარებას.

აქვე მინდა აღვნიშნო, რომ მონოგრაფიის შინაარსი ბევრად სცილდება ერთი ადამიანის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ფარგლებს. აქ საქართველოს მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრება არის ფართომამუტაბიანად აღწერილი, განსაკუთრებით კი — განათლებისა და კულტურის დარგში. მკითხველი ეცნობა მაშინდელი საქართველოს იმ ტკივილებს, რაც აღნიშნული პერიოდის ღირსეულ ქართველებს აწუხებდათ, ეცნობა იმ ბრძოლას, რომელსაც დიდი ერისკაცები საქართველოს და ქართველების გადასარჩენად ეწეოდნენ...

ეს წიგნი, უდავოდ, დიდად დაეხმარება ყველას, როგორც უშუალოდ ლადო აღნიშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის, ისე იმდროინდელი საზოგადოებრივი ყოფის, განათლებისა და კულტურის გაცნობისა და შესწავლის მსურველებს. ამიტომ მიმაჩნია, რომ ამ წიგნის დაწერა, გამოცემა და მკითხველთან მიტანა დროული და აუცილებელი იყო!

პირადად მე, როგორც ქართველი, ამ წიგნმა იმითაც დამაინტერესა, რომ, როგორც ჩანს, ავტორს განსაზღვრული აქვს, კიდევ უფრო ჩაუღრმავდეს ფერეიდნელი ქართველების თემას და ამ მიზნით იგი ფერეიდანში გამგზავრებას და იქაურ ქართველებზე წიგნის დაწერასაც აპირებს... ფერეიდნელ ქართველებთან დაკავშირებით წიგნის ავტორებთან მე ჩემი მოსაზრება და სათქმელი მაქვს, მაგრამ ეს სხვა საუბრის თემაა... ამაზე სხვა დროს!

ახლა კი, რამდენიმე თბილი სიტყვა წიგნის ავტორზე. ციური ბერიძესთან ნაცნობობის, ახლობლობის საკმაო წლები მაკავშირებს. ვიცოდი, რომ ციური კარგი პედაგოგია, ის რუსთავის ერთ-ერთი პრესტიჟული, N4 საჯარო სკოლაში რუსული ენის მასწავლებელია. არის 2003 წლის პუშკინის საერთაშორისო პრემიის ლაურეატი, ჰყავს შოლოხოვისა და

პუშკინის საერთაშორისო კონკურსებში გამარჯვებული, ჯილდოების მქონე მოსწავლეები.
ზემოაღნიშნული მონოგრაფია დროული და აქტუალურია.
ვულოცავ ნიჭიერ მკვლევარს ამ შესანიშნავი ნიგნის გამოცემას და იმედს გამოვთქვამ,
რომიგი თავისი შემოქმედებითი ნარმატივებით მომავალში კიდევ მრავალჯერ გაგვახარებს!
უთუოდ, ავტორი იმსახურებს მაღალ სამეცნიერო ხარისხს.

თინათინ სიყმაშვილი

ჟურნალისტი

P.S. ეს შეფასება გაჟღერდა ნიგნის პრეზენტაციაზე 2011 წლის 19 აპრილს ქ. რუსთავის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში.

* * *

ზუსტად ერთი წლის წინ; ოქტომბრის თვეში, გამოჩენილი ფოლკლორისტი, ბატონ ანზორ ერქომაიშვილის ძალისხმევით და კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის, ბატონ ნიკოლოზ რურუას დაფინანსებით გამოვიდა ციური ბერიძის 240 გვერდიანი ზემოაღნიშნული მონოგრაფია.

ლადო აღნიაშვილი XIX საუკუნის საზოგადო მოღვაწე გახლდათ, მრავალმხრივი და მრავლისშემძლები.

თავის დროზე მასზე და მის მოღვაწეობაზე ბევრი იწერებოდა ჟურნალ-გაზეთებში: „თეატრი და ცხოვრება“, „მეურნე“, „მოამბე“, „მოგზაური“, „მწყემსი“, „დროება“, „კვალი“, „ცნობის ფურცელი“.

1929 წელს იოსებ იმედაშვილმა გამოსცა 68 გვერდიანი ნიგნი „ლადო აღნიაშვილი“ (გარადაცვალებიდან 25 წლისთავის გამო). შემდეგ სხვა ავტორებმაც მეტ-ნაკლებად წარმოაჩინეს მისი მრავალმხრივი მოღვაწეობა. მაგრამ მაინც, თითქოს, დავიწყებას მიეცა კაცი რომელიც პირველი ჩავიდა ფერეიდანში 200 წლის შემდეგ ქართველებთან, სწავლობდა ქართულ მუსიკალურ და სიტყვიერ ფოლკლორს, აქტიურად მონაწილეობდა ქართული სიმღერის პროპაგანდაში იოსებ რატილთან, ფალიაშვილებთან, სახალხო მომღერლებთან ერთად. ლადო აღნიაშვილმა შეადგინა და გამოსცა სახელმძღვანელოები ქართველი ბავშვებისათვის, რადგან იცოდა, რომ საქართველოს მომავალი ამ ბავშვებით მოვიდოდა.

შემდეგ, დროთა ვითარებაში, ნელ-ნელა, თითქოს, დაივიწყეს ეს დიდი მოღვაწე. ალბათ, იმიტომაც მისი პიროვნება და მოღვაწეობა არ იყო შეფასებული და დაფასებული სრულად, მრავალმხრივ და თანამედროვე დონეზე, დღევანდელი გადასახედიდან.

ახლა ეს სიცარიელე ამოივსო სწორედ ამ ნიგნით. მასში გათვალისწინებულია ყველაფერი, რაც აქამდე დაბეჭდილია სხვადასხვა ნიგნსა თუ ჟურნალ-გაზეთში და ჯეროვნად შეფასებულია ამ დიდი ერისკაცის ღვაწლი.

ამავე ნიგნს თან ახლავს ვრცელი ანოტირებული ბიბლიოგრაფია (გვ. 190-226). სხვათა შორის, ასეთი სრული ანოტირებული ბიბლიოგრაფია გაკეთებულია გაიოზ იმედაშვილის ნიგნში „რუსთველოლოგიური ლიტერატურა“ (თბ., 1957, 949 გვ).

მსგავსი ბიბლიოგრაფიების შედგენა და გამოცემა არა მარტო მეცნიერებისთვის, არამედ უბრალო მკითხველისთვისაც მეტად საჭირო და საინტერესოა. ქალბატონ ციური ბერიძის ნიგნი ამ ნაწილშიც მეტად ანგარიშგასაწევია, სადაც იგი აანალიზებს ყოველივე

ადრე თქმულს და თავის, უდავოდ, გასაზიარებელ შეფასებებსაც გვთავაზობს.

მაგრამ გასაკეთებელი კიდევ ბევრია. საჭიროა გამოიცეს ლადო აღნიაშვილის მემკვიდრეობა. პირველ ყოვლისა, მისი წიგნი „სპარსეთი და იქაური ქართველები“, რომელიც 1996 წლის შემდეგ არ გამოცემულა და საყურადღებოა ისტორიული, ეთნოგრაფიული და მეცნიერული თვალსაზრისით. ჯერ კიდევ მისაკვლევეა ლადო აღნიაშვილის მიერ სპარსეთში გადაღებული ფოტომასალა, რომელზედაც მიმდინარეობს კვლევა-ძიება.

ც. ბერიძის ზემოაღნიშნული მონოგრაფია მრავალმხრივ საინტერესოა, იმსახურებს მაღალ შეფასებას. მოკლედ, ეს კარგი წიგნია. ის მკვლევრის დიდი და ბეჯითი შრომის ნაყოფია.

კობა იმედაშვილი

ლიტერატურათმცოდნე, კრიტიკოსი

* * *

ვლადიმერ (ლადო) აღნიაშვილი — გამოჩენილი პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე — ნამდვილად იმსახურებს მისი ღვაწლის წარმოჩენას და დაფასებას, რაც უაღრესად კარგი საჩუქარია ლადო აღნიაშვილის მემკვიდრეობის თაყვანისმცემელთა და მკითხველთა ფართო წრისათვის.

ეს ნაშრომი, რომელიც გამოიცა 2010 წლის ოქტომბერში, ეძღვნება ლადო აღნიაშვილის დაბადებიდან — 150, ქართული „ხოროს“ დაარსების — 125 და იოსებ რატილის დაბადებიდან 170-ე წლისთავს.

ნაშრომში თავმოყრილი მასალა მკითხველს აცნობს მე-19 საუკუნის რეფორმის შემდგომ ხანას საქართველოში, „სამოციანელების“ განათლებისა და კულტურის კონცეფციას და რეფორმატორულ საქმიანობას, აწვდის ინფორმაციას შილდასა და აღნიაშვილთა გვარის შესახებ, ცნობებს თვით ლადოს მოღვაწეობისა და საზოგადოებრივი საქმიანობის შესახებ. წინამდებარე ნაშრომი მეტად მნიშვნელოვანია ახალგაზრდა თაობისათვის. დღესაც, 21-ე საუკუნეში, საინტერესო და შემეცნებითია ლადო აღნიაშვილის ყმანვილთათვის დანერგილი პატარა საკითხავი წიგნები, რომელიც დანართის სახითაა წარმოდგენილი.

ქალბატონმა ციური ბერიძემ დიდი შრომა გასწია ლადო აღნიაშვილის, ამ დიდი მამულიშვილის, პუბლიცისტისა და პირველი „ქართული ხოროს“ დამაარსებლის, ლინგვოდიდაქტიკოსისა და ლექსიკოგრაფის, ფოლკლორისტიკოსისა და ეთნოგრაფის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესასწავლად და მისი ღვაწლის მეცნიერულად დასასაბუთებლად. მან დანვრილებით გამოიკვლია ლ. აღნიაშვილის პედაგოგიკური მემკვიდრეობა და შეეცადა სიტყვითა და კალმით, ასევე პრაქტიკული, პედაგოგიური და საზოგადოებრივი საქმიანობით მოკრძალებული წვლილი შეეტანა გამოჩენილი ქართველი პედაგოგის წარმოჩენაში.

მადლობა ქალბატონ ციური ბერიძეს, ეროვნული ცნობიერების მატრებელ ადამიანს, რომ თავისი მრავალწლიანი შრომით საშუალება მისცა ფართო მკითხველს საფუძვლიანად გაცნობოდა განათლებისა და კულტურის ამაგდარ საზოგადო მოღვაწეს — ლადო აღნიაშვილს.

ეთერ ჭიპაშვილი.

მასწავლებელი

* * *

ქალბატონი ციური ბერიძის წიგნი, მიძღვნილი ცნობილი საზოგადო მოღვაწის, ვლადიმერ (ლადო) აღნიაშვილისადმი (2010 წ. გამოც), რომელიც ჩვენი აზრით, სრულად ასახავს ამ დიდებული, მრავალმხრივი მოღვაწის განვლილ ურთულეს ცხოვრების გზას, ვფიქრობთ, საუკეთესო შენაძენია, არა მხოლოდ ქართველი მკითხველისათვის....

ავტორი, ქ-ნ ციური ბერიძის მიერ მიზანმიმართული შრომის შედეგად, ისტორიულ და სხვა ფაქტობრივ წყაროებზე დაყრდნობითაა გადმოცემული, ღირსეული ქართველი მამულიშვილის ცხოვრება - მოღვაწეობის დეტალები, (1860-1904). აგრეთვე, აღნიაშვილების გვარის გენეალოგია და მათ მიერ განეული ღვაწლი სამშობლოს წინაშე.

მინდა მადლიერების გრძნობა გამოვხატო მკვლევარი ქალბატონი ციური ბერიძის მიმართ, ვუსურვო წარმატებები, ჯანმრთელობა და ბედნიერება პირად ცხოვრებაში.

ჯემალ ჭკუასელი

სახელმწიფო ანსამბლ „ერისიონის“ კონსულტანტი და მთავარი დირიჟორი ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე საქართველოს სახალხო არტისტი შ.რუსთაველის პრემიის ლაურეატი სახელმწიფო პრემიის ლაურეატი ღირსების ორდენის კავალერი ბრწყინვალეობის ორდენის კავალერი სდასუ-ს საპატიო დოქტორი ხელოვნების ქურუმი (ორდენი) ხალხური შემოქმედების სახელმწიფო ფოლკლორის ცენტრის ყოველწლიური ფესტივალის ჟიურის თავმჯდომარე

* * *

მრავალი წლის წინ სახელგანთქმული დანიელი ფიზიკოსის ნილს ბორის ბიოგრაფიის კითხვისას თვალეში ასეთი რამ მომხვდა: მას ნათესავი ჰყოლია, სკოლამდელი პედაგოგი და მის მე-100 წლისთავზე კოპენჰაგენში საგანგებო კრებული დაბეჭდილა. თან კეთილად შემშურდა, თან კი გული დამწყდა — როგორ აფასებენ თავის მოღვაწეთ სხვაგან და რაოდენ დაუდევარნი ვართ, როგორ „გვეხერხება“ გაფანტვა და დავიწყება... დღესაც ხშირად მოგვიკლავს გულს, ხან ვისი დაუფასებლობა, ხან სხვის უმართებულოდ წარმოჩენა, ფაქტების აღრევა და საბოლოოდ ჩვენი წარსულის გაღარიბება და დამახინჯება.

რასაკვირველია, ადრეც და ახლაც გამოდიოდა და გამოდის წიგნები, რომელნიც ავსებენ ჩვენი ცოდნის ხარვეზებს და გვეხმარებიან სწორად დავინახოთ წინანდელი მოვლენები, ამგვარად კი ახლანდელიც უკეთესად შევაფასოთ და მომავალსაც უფრო დაიმედებულემა გავუსწოროთ მზერა.

შარშანაც ერთი ამგვარ წიგნთაგანი გამოვიდა — ციური ბერიძის მონოგრაფია „ვლადიმერ (ლადო) აღნიაშვილი ცხოვრება და მოღვაწეობა“. უთუოდ, მეტყვიან: „ლადო აღნიაშვილი რომელი მივიწყებული კაცი არისო“. მართლაც, თვით ამ შრომას დართულ ბიბლიოგრაფიას შეუძლია გაფიქრებინოთ მასზე, რომ თითქმის ყოველთვის საუბარია ლადო აღნიაშვილის ცხოვრებისა თუ მოღვაწეობის ერთ მხარეზე — მასზე, როგორც პედაგოგზე, ეთნოგრაფზე, მუსიკოსზე, ფერეიდანის მკვლევარზე, კოოპერაციის დამნერგავზე...

ქ-ნი ც. ბერიძის შრომის მთავარი ღირსება ისაა, რომ ის სხვადასხვა კუთხით წარმოგვიჩენს ლ. აღნიაშვილს. ვინც მას პედაგოგად იცნობს — მასზე, როგორც მუსიკოსზე,

შეიტყობს ბევრს საგულისხმოს. ვისაც, პირიქით, ლ. აღნიაშვილის „ხოროს“ ამბები სმენია, გაიგებს, რომ ის საყურადღებო მეთოდისტი და ტრადიციული პედაგოგის პოპულარიზატორი ყოფილა.

ნიგნში წარმოდგენილია ვრცელი ანოტირებული ბიბლიოგრაფია, საარქივო მასალები და დიდი თვალსაჩინო და ფოტომასალა. ყველაფერი ეს არცთუ დიდი მოცულობის ნიგნშია „ჩანწებილი“ და თუ იგი, ერთი მხრივ, ბევრს რასმე ახალს განვდის, მეორე მხრივ, მეტსა და მეტს მოგანდომებს — ფაქტებსაც, შედარებებსაც, ქართული კულტურის შესახებ მონაცემებსაც... ეს კარგის ნიშანი გახლავთ.

ყველამ ვიცით, რაოდენ ღირებულია, ნაკითხული რომ ძიებისა და აზროვნებისკენ გიბიძგებს, თავს კი არ მოგაბეზრებს, ფიქრის საღერღელს აგიშლის. ყურადღებას იმსახურებს ნიგნში წარმოდგენილი აღნიაშვილების გვარის გენეალოგია, შეგროვილი ზეპირმეტყველების ნიმუშები, პედაგოგიკური მემკვიდრეობის თვალსაჩინოება.

უნდა ხაზგასმით აღინიშნოს, რომ მე-19 საუკუნის შემდეგ დოკუმენტურ და საარქივო მასალებზე დაყრდნობით ასე ძირფესვიანად არავის გამოუკვლევია ლადო აღნიაშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა.

ნიგნის ყოველი მონაკვეთი, ალბად, დამოუკიდებელ ნიგნად შეიძლება განივრცოს: აღნიაშვილების გვარისა თუ სოფელ შილდის ისტორიად. ქართველი პედაგოგიკის ისტორიად იმ ასპექტით, რასაც ლ. აღნიაშვილის ნაწერები გვთავაზობს XIX-ს ქართულის ისტორიად; ფერეიდნელ ქართველთა პირველ სამშობლოსთან ურთიერთობის ისტორიად, ქართული სიმღერა-გალობის ისტორიად და ა.შ. ასე, რომ ქ-ნ ც. ბერიძის სამომავლო მიმართულებების გამოკვეთაშიც გვეხმარება, გადასაჭრელ საკითხებს გამოგვიჩინს და კიდევ ერთხელ გვარწმუნებს, რომ, რამდენიც უნდა ვიცოდეთ რომელიმე საგანზე, გამოსარკვევი ყოველთვის უფრო მეტია და საქმე განა მართო მეცნიერებაა? განა არ გვაკლია ბელეტრიზებული ბიოგრაფიები, რომელნიც აამეტყველებენ საოჯახო ალბომებსა თუ სახელმწიფო საცაფებში თავმოყრილ სურათებს?

საკეთებელი, ამდენად, ულევია და იმედია, ქ-ნი ც. ბერიძე კვლავ არ დაიშურებს დროსა და ძალ-ღონეს ჩვენი ქვეყნისათვის სასარგებლოდ და უკვე მეტად საშური სამუშაოს გასაგრძელებლად და წარსამართავად. ვუსურვებთ მას ამ გზაზე წარმატებებს.

უთუოდ, ეს ნაშრომი იმსახურებს სამეცნიერო მაღალ შეფასებას, ხარისხს.

დ. თუმანიშვილი

პროფესორი

თბილისი 27/III 2011

* * *

„ის ერი ერობს, ის ხალხი ხალხობს, რომელსაც შეულახავად შეურჩენია თავისი ენა, ჰანგი და კილო. კაცისათვის უძვირფასესი საუნჯე დედა ენაა, სამშობლო საგალობლები და ჰანგები. გარდაქმნა, გადაგვარება იმ ხალხისა, რომელსაც მდიდარი ენა, ხმები და ჰანგები აქვს, შეუძლებელია.“

ეს სიტყვა წარმოთქვა 1894 წელს ბათუმში გამოჩენილმა ჩეხმა მუსიკოსმა, მომღერალმა და კომპოზიტორმა, იოსებ რატილმა ლადო აღნიაშვილის მიერ 1885 წელს შექმნილი გუნდის საპატივცემულოდ გამართულ ნადიმზე.

იოსებ რატილი 10 წლის განმავლობაში ლოტბარობდა ლადო აღნიაშვილის გუნდს და დიდი წვლილი შეიტანა ქართული ხალხური სიმღერების ნოტებზე ჩანერასა და პოპულარიზაციაში, რადგან გულით უყვარდა ყველაფერი ქართული.

„ამ ხიბლში გარკვეული წვლილი შეიტანა ლადო აღნიაშვილმა, რომელიც მას ყოველთვის ედგა მხარში თავისი ქართული კაცურკაცობით,“ — წერს ციური ბერიძე თავის ნაშრომში (გვ.116).

სასიხარულოა ის ფაქტი, რომ ქართველი ხალხის ამ საამაყო შვილის, ლ. აღნიაშვილის, ცხოვრება და მოღვაწეობა შესანიშნავად შეისწავლა და წიგნის სახით გამოსცა ჩვენმა თანამოქალაქემ, ნიჭიერმა მკვლევარმა ქალბატონმა ციური ბერიძემ.

აღსანიშნავია, რომ ძალიან მიყვარს დიდი ადამიანების ცხოვრებისა და შემოქმედების ამსახველი წიგნები და ამიტომ ძალიან გამიხარდა, როცა ერთხელ ჩემთან სტუმრად მოსულმა, ბავშვთა სტუდია „დიდობანას“ ხელმძღვანელმა — ქალბატონმა ჯულია ოშხერელმა მაჩუქა ეს წიგნი. ერთი ამოსუნთქვით წავიკითხე და პირველი, რაც გავიფიქრე იყო ის, თუ რამდენი უშრომია ავტორს. თურმე, სამწუხაროდ, არ ვიცნობდი ლადო აღნიაშვილის მოღვაწეობას, ასე მრავალმხრივი თუ იყო. მაშინ ავტორს არ ვიცნობდი და როცა გავიცანი, აღტაცებულმა, მადლობა გადავუხადე მას ამ ნაშრომისათვის.

პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს ავტორის დახვეწილი, სამწერლო ენა. მისი შესანიშნავი, სტილისტურად გამართული ლექსიკა. წიგნი დაყოფილია თავებად. იგი მოიცავს პერიოდს 1867 წლიდან 1904 წლამდე, ლადო აღნიაშვილის გარდაცვალებამდე. წიგნში განხილულია მისი პედაგოგიური მოღვაწეობა, მის მიერ გამოცემული წიგნები: „საკითხავი ანბანი“, „ბუნების საკვირველებანი“, რუსული სახელმძღვანელო, ხალხში შეგროვილი ზღაპრები და იგავ-არაკები, ფერეიდნელი ქართველების ცხოვრება; საუბარია თეატრისა და მუსიკის, კულტურის ისტორიაზე. ლადო გვეცნობა, როგორც პირველი საკოოპერაციო საქმის დაარსების თაოსანი და სხვა.

არ შეიძლება არ აღვნიშნოთ წიგნში გამოქვეყნებული ფოტომასალა, რომელიც ავტორს სხვადასხვა საარქივო ფონდებში მოუძებნია. ჩვენთვის ერთი ამოსუნთქვით წაკითხული მონოგრაფია ავტორისათვის რამდენად შრომატევადია, — ამას მიუთითებს წიგნის ბოლოს დართული ვრცელი ანოტირებული ბიბლიოგრაფია (გვ.190-226), დოკუმენტური მასალა საისტორიო არქივიდან, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ფონდებიდან აღნიაშვილების გვარის გენეალოგია, მასალები საქ. გ. ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმის არქივის ხელნაწერთა განყოფილებიდან.

ქალბატონ ციურის სასარგებლოდ უნდა ითქვას, რომ მას უზარმაზარი შრომა გაუწევია, რომ ეს წიგნი ამ სახით ჩვენამდე მოეტანა, რათა უფრო კარგად გაგვეცნო ქართველი ერის სასიქადულო შვილის — ლადო აღნიაშვილის მოღვაწეობა.

ბარაქალა მას ამისათვის. მიიღეთ ჩვენგან მადლობის სიტყვები, თქვენგან კი კიდევ მოველით, რომ სხვა გამოჩენილი, ქართული კულტურის მოამაგის ცხოვრებასა და შემოქმედებას გაგვაცნობთ.

მადლობა და კიდევ ერთხელ მადლობა ამ შესანიშნავი ნაშრომისათვის.

ალმარ ლომიძე

ფილოლოგი, ჟურნალისტი

* * *

რუსთავის N4 საჯარო სკოლის პედაგოგმა-მკვლევარმა ციური ბერიძემ, — თავისი წიგნის სამზეოზე გამოტანით, ფასდაუდებელი წვლილი შეიტანა დიდი ქართველი მამულიშვილის - ლადო აღნიაშვილის სახელის უკვდავსაყოფად.

ამ სკოლის დირექტორობის პერიოდში მე მქონდა საშუალება თვალი მედევნებინა ამ ნაშრომის შემოქმედებითი პროცესისათვის. როგორც რუდუნებით, მიზანდასახულობით, შეიძლება ითქვას, თავგანწირვითაც კი ცდილობდა ავტორი მივიწყებული ერისკაცის ცხოვრების კვლევას.

ვლადიმერ (ლადო) აღნიაშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი წიგნი ძვირფასი შენაძენია ქართული საზოგადოებისათვის (ფართო მკითხველისათვის).

ლია ჯლარკავა,

რუსთავის N 7 საჯარო სკოლის დირექტორი

* * *

არაერთი კვლევა, ნაშრომი თუ მონოგრაფიაა მიძღვნილი მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის საზოგადო მოღვაწეთა საქმიანობისთვის: მათ უანგარო მამულიშვილურ ღვაწლზე ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნებისა და რუსიფიკაციის წინააღმდეგ ბრძოლაში. ეს პერიოდი ხომ გამორჩეულია საქართველოს ისტორიაში ქართული დემოკრატიული ინტელიგენციის ჩამოყალიბებისა და „თერგდალეულთა“ რეფორმების განხორციელების მხრივ ილია ჭავჭავაძის ხელმძღვანელობით, მათ შორის ერთ-ერთი მოკრძალებული ადგილი უჭირავს ვლადიმერ აღნიაშვილს, რომლის ცხოვრება და მოღვაწეობა ნაკლებად არის ცნობილი ფართო მკითხველისათვის.

დიდი პატივისცემითა და სიყვარულით გავეცანი ქალბატონ ციური ბერიძის წიგნს, რომელიც საარქივო მასალებსა და პირველწყაროებზე დაყრდნობით სრულყოფილად არის გადმოცემული „მაღალი იდეალებით გატაცებული, სულით მგზნებარე მამულიშვილის“ ლადო აღნიაშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა.

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ლ.აღნიაშვილის პედაგოგიური მოღვაწეობა და მისი საყმანვილო წიგნები, სახალისო გამოცანები და თამაშები, რომელთა გამოყენება დღესაც შესაძლებელია გაკვეთილებზე. საინტერესოდ იკითხება სტატიები მოზარდი თაობისათვის „საკვირველებანი ბუნებისა“.

გამორჩეულია მასალა ლადო აღნიაშვილის, როგორც პირველი ქართველი ეთნოგრაფიული გუნდის „ხოროს“ დამაარსებლის, შესახებ. ინტერესს იწვევს მისი საქმიანობა ხალხში გაბნეული საგუნდო სიმღერების შეგროვებითა და სანოტო ჩარჩოებში მოქცევის შესახებ.

საინტერესოა, ლ. აღნიაშვილის საქმიანობა პირველი საექსპორტო ვაჭრობის საზოგადოების ჩამოყალიბებაში და „ქართველთა წიგნის გამომცემელ ამხანაგობის“ შექმნის თაობაზე. როგორც პირველი ქართველის ამაღლებულია ლ. აღნიაშვილის მოგზაურობა საკუთარი ხარჯებით შორეულ სპარსეთში ფერეიდნელ ქართველთა მონახულების მიზნით. როდესაც კითხულობ წიგნს „სპარსეთის და იქაური ქართველები“, როგორც ერთ რიგით

ქართველს, სურვილი გიჩნდება ი. გოგებაშვილის პედაგოგთა კავშირის სახელით, კიდევ ერთხელ მოეწიოს მოგზაურობა ფერეიდნელი „გურჯების“ მოსანახულებლად.

ქალბატონი ციური ბერიძე ყმანვილქალობიდან გამოირჩეოდა საზოგადოებრივი და პედაგოგიური საქმიანობით, იგი დღესაც განაგრძობს აქტიურ პედაგოგიურ მოღვაწეობას, რაც ნათლად არის გადმოცემული წიგნის დასკვნით ნაწილში. იგი სხვადასხვა ღონისძიებით ცდილობს მოსწავლეებში გააღრმავოს წარსულისადმი პატივისცემა და პატრიოტული სულისკვეთება ჩაუწეროს მათ.

ლეილა გეგეშიძე,

ისტორიკოსი პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი;
იაკობ გოგებაშვილის სახელობის ღირსების მედლის მფლობელი; საქართველოს
იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგთა კავშირის ქვემო ქართლის
რეგიონალური ორგანიზაციის თავმჯდომარე.

* * *

ციური ბერიძის მეცნიერული ნაშრომი - „ვლადიმერ (ლადო) აღნიაშვილი - ცხოვრება და მოღვაწეობა“ - მართლაც რომ, დიდი ეროვნული საქმეა თითქმის მივიწყებული მამულიშვილისადმი და მისაბაძი ყველა ქართველისათვის.

ჟამთასვლამ ბევრი მტვერი მიაყარა ლადო აღნიაშვილის ცხოვრების ფურცლებს, ციური მასწავლებელს დიდი და ხანგრძლივი შრომა დასჭირდა, რათა გაეცოცხლებინა ერის დიდებული წარსული, გამოჩენილი ქართველი პედაგოგის, საზოგადო მოღვაწის, დიდაქტიკოსისა და ლექსიკოგრაფის, ფოლკლორისტისა და ეთნოგრაფის, პუბლიცისტის ნამოღვაწარი.

უნდა გვახსოვდეს, რომ ლადო აღნიაშვილი იყო პირველი ქართველი, რომელიც სიცოცხლის რისკად გაემგზავრა სპარსეთში, რათა მოენახულებინა შაჰ-აბასის მიერ საუკუნეების წინათ გადასახებული მამულიშვილები.

ჩემთვის, როგორც ისტორიკოსისთვის, ყველაზე მეტად საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ლადო იყო პირველი ქართველი, ვინც გაემგზავრა ირანში ფერეიდნელი ქართველების მოსანახულებლად, რომელთა არსებობაც საუკუნეების განმავლობაში არავინ იცოდა. არ შემეძლო ეს ფაქტი უყურადღებოდ დამეტოვებინა.

ციური მასწავლებლის დახმარებითა და გვერდში დგომით ჩემი სადამრიგებლო კლასის მოსწავლეებმა 2006წელს 14 აპრილს წარმოადგინეს სპექტაკლი: „ფერეიდნელი ქართველები“.

დღევანდელი გადმოსახედიდან, ის ღვაწლი, რაც ლადო აღნიაშვილს ეკუთვნის, კარგი გაკვეთილია თანამედროვეთათვის. დღეს, როცა ჩვენს ქართულ მენტალობასა და ძირძველ ტრადიციებს ნელ-ნელა საფუძველი ერყევა და უცხოური წნეხის ქვეშ მოქცეული ეროვნული მეობის შენარჩუნება კვლავ აქტუალურია, არ შეიძლება არ გვახსოვდეს და არ გვეამაყებოდეს ის ადამიანები, რომლებიც დღესაც დადიან ფერეიდანში ფანდურით და ქართულ საგალობლებს აჟღერებენ.

სწორედ ლადო აღნიაშვილის დამსახურებაა, ფერეიდნელი ქართველები დღესაც რომ ქართველობენ.

და ციური მასწავლებელიც-მთელი თავის ცხოვრების განმავლობაში ფუტკარივით მშრომელი, შემოქმედი, მკვლევარი და თავისი უამრავი იდეის ავტორი და განმახორციელებელი, ერის დიდი მოჭირნახულე - უანგაროდ ემსახურება მამულს.

შეიძლება ითქვას, რომ მთელი ჩემი შეგნებული ცხოვრება ციური მასწავლებლის გვერდით გავატარე, თავდაპირველად დაწყებითი კლასიდან ის იყო ჩემი რუსული ენისა და ლიტერატურის პედაგოგი, შემდეგ კლასებში კლასის დამრიგებელი, უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ გავხდით კოლეგები და დღემდე ვთანამშრომლობთ რუსთავის N4 საჯარო სკოლაში.

შემიძლია თამამად და ამაყად განვაცხადო, რომ მოსწავლეობის პერიოდიდან მოყოლებული ყველა ლამაზი და სასიამოვნო საინტერესო მოგონება უკავშირდება ციური მასწავლებელს, რომელსაც დიდ პატივს ვცემ მისი დაულალავი შრომის, გულისხმიერების, უანგარობის, ქველმოქმედების, კეთილშობილების გამო.

მადონა ჩიკვილაძე,
რუსთავის N 4 საჯარო სკოლის ისტორიის მასწავლებელი

სამაგიდო წიგნი

ჩემზე, როგორც პოეტზე, რამოგახსენოთ, მაგრამ, მე, ვაჟა ეგრისელს, კარგ მკითხველად მომაქვს თავი, ამას იმიტომ ვამბობ, რომ არსებობს საინტერესო მონოგრაფიები სახელოვან მწერლებზე, მეცნიერებზე, საზოგადო მოღვაწეებზე, მაგრამ ფაზისის საერო-სამეცნიერო აკადემიის ნამდვილი წევრის - აკადემიკოს ციური ბერიძის მონოგრაფია - „ცხოვრება და მოღვაწეობა“ ვლადიმერ (ლადო) აღნიშვილისა, ჭეშმარიტად სამაგიდო წიგნია.

ვაჟა ეგრისელი
პოეტი- აკადემიკოსი, საქართველოს მწერალთა,
მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა აკადემია
„ქალდეას“ პრეზიდენტი, ფაზისის საერო-სამეცნიერო
აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი,
29.05.2014

„საქმით მეტყველი სული“

ჩვენ ხელთა გვაქვს რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის, ციური ბერიძის მონოგრაფიული ნაშრომი, რომელიც მოგვითხრობს ვლადიმერ აღნიშვილის, პირველი „ქართული ხოროს“ დამაარსებლის, გამოჩენილი ქართველი პედაგოგის, საზოგადო მოღვაწის, ლინგვოდიდაქტიკოსისა და ლექსიკოგრაფის, ფოლკლორისტიკისა და ეთნოგრაფის, პუბლიცისტის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესანიშნავ ქრონიკას. ამავე დროს მასში ასახულია ქართული კულტურის განვითარების უმნიშვნელოვანესი პროცესი XIX ს-ის II ნახევარში.

ნაშრომში ფართოდ არის წარმოდგენილი ვლადიმერ აღნიაშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი უხვი დიკუმენტური მასალა.

აღსანიშნავია, რომ ავტორი სამშობლოსათვის თავდადებული რაინდის, ჭეშმარიტი მამულიშვილის ცხოვრებიდან მხოლოდ უმთავრესსა და აუცილებელს გვამცნობს. მთავარი არის მისი ნაღვანის მნიშვნელობის გააზრებული მონოდება. საკითხის ასეთი გადანყვეტა შედეგიანად მიგვაჩნია, რადგან წიგნში სწორედ ისაა ნაჩვენები, რითაც ვლადიმერ აღნიაშვილი, როგორც აკ. ბაქრაძე იტყოდა, „საქმით მეტყველი სულია“.

გილოცავთ, ჩემო ციური მასწავლებლო, მშვენიერი წიგნის დაწერას, შრომის წარმატებულ დაგვირგვინებას, ჭეშმარიტებით განათებული ყოფილიყოს ნამოღვაწარი თქვენი. უფლის ხელისგულზე დაწერილიყოს თითოეული თქვენი აღზრდილის ნამდვილი ადამიანობა, არ მოგკლებოდეთ მადლიერი მოსწავლეები!

„დაე, იცოდნენ, ჩვენს საქართველოს
ისევ სჭირდება თქვენისთანები,
თქვენთვის ვამაყობთ, მასწავლებლო,
თქვენს ქართველობას ვეთაყვანებით.“

და ისიც გნამდეთ, ჩვენო აღმზრდებლო,
რომ მოგენევათ ჟამთა ისარი,
აყმუვლდებიან თქვენი დაზრდილნი,
როგორც ალგეთზე ლეკვნი მგლისანი“.

პატივისცემით
გიორგი შეყილაძე,
რუსთავის მე-11 საჯარო სკოლის დირექტორი
ც. ბერიძის ნამონაფარი.

* * *

ციური ბერიძის წიგნში - „ვლადიმერ (ლადო) აღნიაშვილი. ცხოვრება და მოღვაწეობა“ (თბ., 2010) - ღრმად და საინტერესოდაა მიმოხილული მე-19 საუკუნის მე-2 ნახევრის საზოგადო მოღვაწის - ლადო აღნიაშვილის მრავალმხრივი საქმიანობა.

წიგნში დიდი ადგილი ეთმობა მისი პედაგოგიური ღვაწლის წარმოჩენა-შეფასებას. გარდა პედაგოგიური მოღვაწეობისა, მკითხველი ეცნობა ამ გამოჩენილი პიროვნების პედაგოგურ მემკვიდრეობასაც. განსაკუთრებით აღნიშნულია ღირსება სახელმძღვანელოსი - „Первый шаг в изучении русского языка для начальных грузинских школ“ - ნოვატორული მიდგომა რუსული ენის სწავლების საქმეში, რითაც ეს წიგნი განსხვავდება მანამდე არსებული რუსული ენის სახელმძღვანელოებისგან.

ცალკეა აღნიშნული ლადო აღნიაშვილის ლექსიკოლოგიური ღვაწლი. მის მიერ შედგენილ „რუსულ-ქართულ ლექსიკონში“ ბევრი ისეთი ქართული სიტყვაა, რომელთა არსებობაც დღეს მხოლოდ ენის სპეციალისტებმა თუ იციან.

ლადო აღნიაშვილს მოღვაწეობა მოუხდა იმ დროს, როდესაც ახლადფეხადგმული სა-

ბავშვო ლიტერატურა კითხვის სწავლებასთან ერთად მიზნად ისახავდა ყმანვილთა განათლებასა და პიროვნებად ჩამოყალიბებას. ამ მხრივ მან ბევრი შეძლო. მისი „ახალი ანბანის“ წიგნაკები პატარა მკითხველს აცნობდა ზეპირსიტყვიერების ნიმუშებს, მინერალოგიას, ბოტანიკას, ზოოლოგიას. ამ გამოცემებს გამოეხმაურნენ გაზეთები: „ივერია“ და „კვალი“.

ლადო აღნიაშვილმა დიდი ამაგი დასდო ხალხური ზეპირსიტყვიერების შეგროვება-გამოცემას. მის მიერ შეგროვებული ზღაპრები ინგლისურად თარგმნა მარჯორი სკოტ უორდროპმა.

1885 წელს მან ჩამოაყალიბა „ხორო“, რითაც მყარი საფუძველი ჩაუყარა მივიწყების გზაზე დამდგარ მრავალსაუკუნოვანი ხალხური სიმღერის აღორძინებას, ქართული საგუნდო ხელოვნების შემდგომ განვითარებას.

მკვლევარი ციური ბერიძე თავის ნაშრომში მიმოიხილავს, თუ როგორ იმოგზაურა ლადო აღნიაშვილმა ფერეიდანში (1894), რის შედეგადაც დაინერა „სპარსეთი და იქაური ქართველები“ (თბ., 1896). ამ წიგნმა გამოსვლისთანავე მიიპყრო მკითხველის ყურადღება და დღესაც მნიშვნელოვან ნაშრომად რჩება. სამწუხაროდ, ეს ძვირფასი წიგნი მეორედ არ გამოცემულა.

პედაგოგ-მკვლევრის, ციური ბერიძის, სამეცნიერო ნაშრომში წარმოჩენილია ლადო აღნიაშვილის დამსახურება ქართული თეატრის წინაშეც.

ნაშრომი მეტად საინტერესო დიკითხება. ავტორს განზრახული აქვს ლადო აღნიაშვილის სახელისა და საქმეების პოპულარიზაცია, მისი გამოუქვეყნებელი ნაშრომების პუბლიკაცია, რაც მეტად საშური საქმეა.

დეკანოზი მიქაელ ჭაბაშვილი -

ქ. რუსთავის ხარების ტაძრის წინამძღვარი

ფილოლოგიის დოქტორი

ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის სასწავლო

უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

19.08.2015

* * *

დიდი ინტერესით გავეცანი ციური ბერიძის წიგნს მე-19 საუკუნის მნიშვნელოვანი საზოგადო მოღვაწის, პედაგოგისა და ფოლკლორისტის ლადო აღნიაშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ. ქ-ნ ციურისთან, როგორც ლადო აღნიაშვილის შემოქმედების მკვლევართან, ჯერ კიდევ ათი წლის წინ ვითანამშრომლე. მაშინ, რუსული გამოცემისთვის — «БОЛЬШАЯ МУЗЫКАЛЬНАЯ ЭНЦИКЛОПЕДИЯ» — მასალების მომზადებისას, ქ-მა ციურიმ მოგვანოდა სტატია ლ. აღნიაშვილზე.

ციური ბერიძე უკვე მრავალი წელია უანგაროდ, დიდი ენთუზიაზმით, რუდუნებითა და კეთილსინდისიერებით აგროვებს მასალებს, იკვლევს და წარმოაჩენს ლადო აღნიაშვილის ღვაწლს ქართული კულტურის, განათლების განვითარებისა და ეროვნული იდენტობის დამკვიდრების საქმეში. წიგნი ამ მრავალწლიანი შრომის ღირსეული შედეგია.

ბუნებრივია, წიგნის ავტორი, როგორც პროფესიონალი პედაგოგი, განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს აღნიაშვილის პედაგოგიურ მოღვაწეობას. ამასთანავე, სკურპულოზურად შესრულებული ნაშრომი წარმოგვიდგენს ლადო აღნიაშვილის, როგორც ჭეშმარი-

ტი ერისკაცის, მრავალმხრივი მოღვაწეობის სრულ სურათს. ნიგნის ცალკე თავები ეძღვნება აღნიაშვილის ცხოვრების ეტაპებს, მის დიდაქტიკურ შეხედულებებსა და, საზოგადოდ, პედაგოგიურ აზრს მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოში, აღნიაშვილის ღვაწლს ფოლკლორისტიკისა და ეთნოგრაფიის, ქართული მუსიკალური კულტურის, ქართული თეატრის ისტორიაში, საკოოპერაციო საქმის დაარსების საქმეში, მის პუბლიცისტურ და საგამომცემლო საქმიანობას. ბევრი საგულისხმო იკითხება აღნიაშვილის ფერეიდანში მოგზაურობასა და ამ მოგზაურობის ამსახველ ნიგნთან (“სპარსეთი და იქაური ქართველები”, ტბ., 1896) დაკავშირებულ ქვეთავში. მეტად საინტერესოა ნიგნის ბოლოს მოყვანილი თანამედროვეთა მოგონებები აღნიაშვილზე, ნიმუშები აღნიაშვილის პუბლიცისტური და პედაგოგიური მოღვაწეობიდან.

ლადო აღნიაშვილის, როგორც ისტორიული ფიგურის წარმოჩენისას, რა თქმა უნდა, ავტორი გვერდს ვერ აუვლიდა აღნიაშვილის მიერ დაარსებული “ქართული ქოროს” მოღვაწეობას. მე-19 საუკუნის ქართული მუსიკალური კულტურის ისტორიაში “ქართული ქოროს” დამსახურება განსაკუთრებულია. “ქორო” არა მარტო ქართული ხალხური მუსიკის გავრცელებასა და ეროვნული საგუნდო-სასიმღერო შემოქმედების აღორძინებას ემსახურებოდა, არამედ ეროვნული სამუსიკო კადრების აღზრდის კერასაც წარმოადგენდა. ქართული მუსიკის ისტორიის ეს ფურცელი მუსიკისმცოდნეთა მხრიდან უფრო ვრცელ და დეტალურ შესწავლას მოითხოვს. აღსანიშნავია, რომ ციური ბერიძის ნიგნის ცალკე ქვეთავი (გვ. გვ. 108-119) ეთმობა აღნიაშვილის ღვაწლს ქართული მუსიკალური კულტურის წინაშე.

და ბოლოს, გვინდა დავეთანხმოთ ნიგნის ავტორს, რომ ლადო აღნიაშვილის — „განათლებისა და კულტურის დიდი ამაგდარის, უანგარო საზოგადო მოღვაწის, ერის ჭეშმარიტი მოჭირნახულეს“ ცხოვრება მაგალითი უნდა იყოს მოზარდი თაობებისთვის. სწორედ ამიტომ, აღნიაშვილის მოღვაწეობის საზოგადოების წინაშე წარმოჩინება-პოპულარიზაცია საჭირო და საშური საქმეა, რასაც პირნათლად ემსახურება ციური ბერიძის მონოგრაფია.

ქეთევან ბაქრაძე

მუსიკისმცოდნე. თბილისის კონსერვატორიის
საგამომცემლო საქმის ხელმძღვანელი,
23. 09. 2015

* * *

პედაგოგ-მკვლევარის ციური ბერიძის სამეცნიერო ნაშრომი - „ვლადიმერ (ლადო) აღნიაშვილი. ცხოვრება და მოღვაწეობა“ (თბ., 2010) დიდი საჩუქარია მკითხველთა ფართო წრისათვის, რადგან ამ ნიგნით მოიგონებენ ან გაიცნობენ სამშობლოსათვის თავდადებულ რაინდს, ჭეშმარიტ მამულიშვილს, ქართველი ხალხის საამაყო შვილს - ლადო აღნიაშვილს.

40-50 წლის წინ ჩვენი ცოდნა შემოიფარგლებოდა იმით, რომ ლადო აღნიაშვილი იყო პირველი „ქართული ხოროს“ დამაარსებელი. ამ ნიგნში კი სრულყოფილად, დაწვრილებით და შესანიშნავადაა აღწერილი ლადო აღნიაშვილის მრავალმხრივი ნიჭი და მოღვაწეობის ყველა სფერო - ილუსტრაციებით, თვალსაჩინოებითა და ფოტომასალით. აგრეთვე, ავტორს შესანიშნავად და საინტერესოდ აქვს აღწერილი საქართველოს ყოფა-ცხოვრება

XIX ს - ის ბოლოსა და XX ს- ის დასაწყისში, იმ დროის საქართველოს ეკონომიური და სულიერი მდგომარეობა, აგრეთვე იმ პერიოდში მოღვაწე ცნობილი პირებისა და საზოგადო მოღვაწეთა საქმიანობა.

წიგნი იკითხება დიდი ინტერესით და აქვს შემეცნებითი დატვირთვა.

დიდი მადლობა პედაგოგ-მკვლევარს ციური ბერიძეს ასეთი სერიოზული და საინტერესო ნაშრომისათვის.

ნიკო აღნიაშვილი

ე. მიქელაძის სახ. II სამუსიკო

სასწავლებლისა და ხელოვნების სკოლა

„აფხაზეთი №1“ -ის პედაგოგი - პიანისტი

* * *

ნებისმიერი მონოგრაფიის ღირსება მდგომარეობს მის აქტუალობაში. აქტუალობა მით უფრო მძაფრდება, როცა 70 წლიანი კომუნისტური ბატონობის შემდეგ დადგა დრო ვაჟკაცური ჭიდილისკენ შემობრუნებისა, დრო ერისკაცური მოვალეობის მძაფრი განცდისა. ამ კონტექსტში მიმოვიხილავ მე მკვლევარ ციური ბერიძის ნაშრომს, მიძღვნილს გამოჩენილი ქართველის, ლადო აღნიაშვილის ცხოვრებასა და შემოქმედებისადმი.

სამწუხაროდ, წიგნში, გარკვეული ინერციის გამო, შეაღწია ცნობილმა „კლიშეებმა“ რუსი რევოლუციონერ-დემოკრატთა დამსახურების შესახებ, რომლებიც ისტორიულ აუცილებლობად აღიარებდნენ ხალხის, ბრბოს გადამწყვეტ როლს სოციალური პროგრესის მიღწევაში. იმდროინდელი ქართული საზოგადოებრივი აზრი ვერ დაეთანხმებოდა „ნაროდნიკების“ უმნიშვარ იდეებს. ილიასა და მის თაობას, პირველ რიგში, აწუხებდა ერის გამთლიანების საკითხი. კულტურა, როგორც ხალხის ერთად გადაქცევის „დედო“, იყო უმთავრესი და მამოძრავებელ იდეას წარმოადგენდა „კულტუროსან“ ქართველებისთვის და, მათ შორის, ლადო აღნიაშვილისათვის.

წიგნის წაკითხვისას თავიდან თითქოს ხელს გვიშლის მეორეხარისხოვანი ფაქტების „ხერგილები“, მაგრამ მერე, თანდათან, ცის კაზადონზე ღრუბლები თითქოს იფანტება და წიგნი იძენს საინტერესო, მოხდენილ აღნაგობას.

ავტორის მუსიკალური განსწავლულება თავს იჩენს ნაშრომის სტრუქტურაში. წიგნი საძიებელი საკრავების ნუსხას ჰგავს, რომლის მეშვეობითაც ხდება პარტიტურის აჟღერება.

ჩემი გულისტკივილიანი ინტერესი მიმართულია იმ მენტალური შრეების მოძიებისკენ, რომლებიც აკავშირებენ ლადო აღნიაშვილის ეპოქას XXI-ე საუკუნის ტემპორითმებთან. ჩვენი თანამედროვე პოლიტიკური ზრახვები საოცრად მიაგავს ქართველების მარადიულ ლტოლვას დასავლეთ ევროპისკენ. სამწუხაროდ, ცოტას ძალუძს გაიგოს, რომ ეს მარადიული ლტოლვა კი არ გახლავთ ვულგარულ-მატერიალისტური მიზანი დასავლეთის ნასუფრალზე გაჯირითებისა, არამედ ეს არის ჩვენი ოქროს საუკუნის რეანიმაციის ცდა და ჩვენი თავის დაჯერება, რომ არ ვართ ბოლო რიგის ქვეყანა დედამიწის ზურგზე.

ვინ იცის რა მწარე წლები (4 ტანჯული წელიწადი, გატარებული წმ. მიქაელის საავადმყოფოში) გამოიარა მიუსაფარმა, მივიწყებულმა, წინასწარმეტყველთა ხვედრის

ლადო აღნიაშვილის ეთნოგრაფიულმა გუნდმა გამოზარდა ქართული მუსიკალური კულტურის გამოჩენილი წარმომადგენლები: ზაქარია და ივანე ფაღიაშვილები, კავსაძეები, ი. კარგარეთელი, ვ. სარაჯიშვილი და სხვ. რომლებმაც შემდგომში უფრო განავითარეს ხალხური საგუნდო ზელოვნების შესანიშნავი ტრადიციები.

მეორე თავში: ვლადიმერ (ლადო) აღნიაშვილის პედაგოგიკური მემკვიდრეობა - განხილულია ლ. აღნიაშვილის დიდაქტიკურ აღმზრდელობითი სახისათვის რამდენიმე ნიმუში. მოცემულია კრიტიკა, შეფასებები, ანალიზი და დასკვნები. დისერტანტი, იმის დასადასტურებლად, რომ ლ. აღნიაშვილი გამოჩენილი ქართველი ლინგვოდიდაქტიკოსი და ლექსიკოგრაფია ასახელებს და აანალიზებს ნაშრომს „Первый шаг в изучении русского языка для начальных грузинских школ“, რითაც ავტორმა მნიშვნელოვნად განავითარა და ხრულყო დიდი ქართველი პედაგოგის გ. კალანდარიშვილის მიერ პირველად პედაგოგიკის ისტორიაში განხორციელებული უცხოური ენის (კერძოდ: რუსულის) სწავლებაში ზეპირი, წინასწარანად ლექსიკური კურსის პრობლემა და მეცნიერულად დაასაბუთა ამის აუცილებლობა.

მესამე თავში – "ვლადიმერ (ლადო) აღნიაშვილის ღვაწლის შეფასება XIX-XXI საუკუნეებში". დისერტანტი ც. ბერიძე ამ თავში შეფასებას აძლევს ლ. აღნიაშვილის მიერ გაწეულ ღვაწლს, რომელიც მთელი ცხოვრების მანძილზე მან გასწია თავისი ქვეყნის საკეთილდღეოდ. ეს შეფასება ეყრდნობა ზღვა მასალის ანალიზს, დოკუმენტურ მასალას, მოგონებებს და პუბლიკაციებს ლ. აღნიაშვილის შესახებ.

დასკვნა: ციური ბერიძის მიერ შესრულებული ხადისერტაციო ნაშრომი: "ვლადიმერ (ლადო) აღნიაშვილის პედაგოგიკური მემკვიდრეობა" არის დამოუკიდებელი, დასრულებული მეცნიერული გამოკვლევა, დახაზუთებულია მეცნიერულად, მისადაგებულია თანამედროვეობასთან. აქვს თეორიული და პრაქტიკული ღირებულება. ნაშრომის ძირითადი არსი გამოქვეყნებულია ავტორის სათანადო პუბლიკაციებში. ნაშრომი პასუხობს დისერტაციებისადმი წაყენებულ მოთხოვნებს. ყოველივე ამის გამო მიგვაჩნია, რომ ციური ბერიძე იმსახურებს საძიებელ მეცნიერულ ხარისხს, რაც გვაძლევს უფლებას მივცეთ მას რეკომენდაცია შემდგომი საჯარო დაცვისათვის.

ოთარ ბარაძე.

გოგებაშვილის ხატელობის პედაგოგიკურ მეცნიერებათა ეროვნული ინსტიტუტის უცხოური ენების განყოფილების უფროსი მეცნიერი თანამშრომელი.

თ. ბერიძე


თორე ბერიძე

7.04.05

რეზიუმე

ციური პერიოდის მიერ პედაგოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოხაზვებლად წარმოდგენილ სადისერტაციო შრომაზე - "ვლადიმერ (ლადო) აღნიშვილის პედაგოგიკური მემკვიდრეობა" 13.00.01 - ზოგადი პედაგოგიკა, პედაგოგიკისა და განათლების ისტორია. სამეცნიერო ხელმძღვანელი - კარლო მაჭარაშვილი, საქართველო მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

სადისერტაციო შრომა შედგება შესავლის, ხაში თავის, რვა პარაგრაფის, ძირითადი დასკვნებისა და რეკომენდაციებისა და გამოყენებული ლიტერატურისაგან. უკანასკნელი მოიცავს 344 წყაროს (თან ურთვის). აგრეთვე ლ. აღნიშვილის ხუთიერი მემკვიდრეობის 13 წყარო. სულ სადისერტაციო ნაშრომი წარმოდგენილია 149 ნაბეჭდვად გვერდზე.

შესავალში გამოუქვეყნებია თემის აქტუალურობა. დისერტანტი აღნიშნავს XIX საუკუნის პედაგოგიკური მემკვიდრეობის მნიშვნელობას დღევანდელი პრობლემების შექმნა. წარმოდგენილია XIX საუკუნის II ნახევარში ილია ჭავჭავაძის თაოსნობით ჩამოყალიბებული საზოგადოებრივი მოძრაობის, კერძოდ "თერგდალეულთა" როლი იმდროინდელი პედაგოგიური აზრის ჩამოყალიბებაში. სწორედ მაშინ დაუახლოვდა ლ. აღნიშვილი ქართულ დემოკრატიულ ინტელიგენციას და გაიზიარა მათი შეხედულებები.

ც. შერნიძე აღნიშნავს, რა რიგ დიდი ღვაწლი მიუძღოდა ლ. აღნიშვილს პედაგოგიური აზრის განვითარებაში XIX საუკუნის II ნახევარში, აგრეთვე ხაზგასმულია, რომ მას საკმაოდ აფასებდნენ იმ ეპოქაში, მაგრამ მიხი მოღვაწეობა დღემდე არ არის საფუძვლიანად გამოკვლეული. სწორედ ამან განაპირობა აღნიშნული სადისერტაციო ნაშრომის აქტუალურობა, რათა ხათანადოდ დაფასდეს აქ დიდი მამულისმოყვარის ღვაწლი, პედაგოგიკური მემკვიდრეობა და დიდაქტიკური შეხედულებები.

შემდგომ აღნიშნულია კვლევის მიზანი, რომელიც განიხილავს ლ. აღნიშვილის მემკვიდრეობის საფუძვლიანი შესწავლით. ჩამოთვლილია კვლევის ოთხი ამოცანა. ესენია: 1. საარქივო მასალაზე დაყრდნობით ლ. აღნიშვილის პედაგოგიკური მემკვიდრეობის შესწავლა, სადაც გამოყოფილია მიხი ცხოვრების და მოღვაწეობის ძირითადი ეტაპები. 2. ლ. აღნიშვილის ღვაწლი ლინგვოლოგიის და ლექსიკოლოგიის მიხი. 3. ოჯახში საკითხავი "ანალიზი ანალიზი" ანალიზი და 4. სტატიების ციკლის "საკვირველებანი ბუნებისა" ანალიზი.

როგორც დისერტანტი აღნიშნავს, კვლევის მიზანმიმართულ განაპირობებებს ის, რომ ლ. აღნიშვილის პედაგოგიკური მემკვიდრეობის დროა შესწავლა წარმოაჩენს მის დამსახურებას პედაგოგიკის ისტორიაში. წარსულის მემკვიდრეობის უფრო დროად შესწავლაზე კი დიდ გავლენას იქონიებს მიხი მემკვიდრეობის გამოცემა.

კვლევის მეთოდები (რომელიც შედგება 4 ბუნქტისაგან) ძირითადად წარმოადგენს ლ. აღნიშვილის მემკვიდრეობის შესწავლა და ანალიზი საარქივო მასალაზე დაყრდნობით.

დისერტანტი აღნიშნავს ლ. აღნიშვილის დამსახურებას ზეპირი, წინასწარმანო ლექსიკური კურსის დახვეწაში, რაც შემდგომ განავითარეს ი. გოგებაშვილმა, ხ. ფუცილაძემ, ხოლო ამ ტრადიციის გამგრძელებლად ხახულებმა ცნობილი მეცნიერი - ბატონი კარლო მაჭარაშვილი, რომელმაც, თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად, განაახლა და შეავსო ქართულ სკოლაში დამკვიდრებული ი. გოგებაშვილის "Русское слово".

სადისერტაციო ნაშრომის მეცნიერულ სიახლეედ დასახელებულია ის, რომ პირველად გაკეთდა ლ. აღნიშვილის მემკვიდრეობის და მასზე დოკუმენტურ წყაროებზე დაყრდნობით სრული ანალიტიკური ბიბლიოგრაფია, რომელიც მოიცავს წიგნებს, ქართულ ჟურნალ-გაზეთებს კრებულებს და საარქივო მასალებს, პირველად ეძლევა შეფასება მის ღვაწლს პედაგოგიკის ისტორიაში და ეროვნული კულტურის წინაშე.

აღნიშვნის დროს იხილავს აგრეთვე დისერტანტის მიერ ჩატარებული მუშაობა ამ ზღვა მასალის მოძიებისა და დამუშავების დროს. ეს ის მასალაა, რომელსაც ქართველი მკითხველები და სპეციალისტები დიდი სიაშოვნებით გაეცნობიან, რათა კიდევ ერთხელ გადაიხედონ საკუთარი ქვეყნის ისტორიაში.

დაცვაზე გამოტანილ დებულებაში დისერტანტი აღნიშნავს ლ. აღნიშვილის მემკვიდრეობის შესწავლის აუცილებლობას სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში, აგრეთვე მიხი მონოგრაფიის გამოცემის აუცილებლობას, რასაც, ჩვენი აზრით, მომავალში თვით დისერტანტი განახორციელებს.

გამოკვლევა დისერტანტის მიერ მუშავდებოდა ოთხ ეტაპად (1993-2006). პირველ ეტაპზე (1993-1996) მიმდინარეობდა ლ. აღნიშვილის პედაგოგიკური მემკვიდრეობის დროა შესწავლა, აგრეთვე გამოცემული ლინგვისტური, პედაგოგიკური,

დსიქოლოგიური, მეთოდური ლიტერატურის მრავალმხრივი შესწავლა.

მეორე ეტაპზე (1993-1996) მოხდა ვლადიმერ (ლადო) აღნიაშვილის პედაგოგიკური მემკვიდრეობის დრმა შესწავლა დოკუმენტურ წყაროებზე დაყრდნობით (წიგნებში, ჟურნალ-გაზეთებში), მიხი ნაშრომების ანალიზი, გამოზნაურებების შესწავლა მასზე და მის დეაწლზე.

მესამე ეტაპზე (1996-2000) დისერტანტმა განახორციელა თბილისის, რუსთავის და სხვა რეგიონების სკოლებში ვლადიმერ (ლადო) აღნიაშვილის პედაგოგიკური მემკვიდრეობის გაცნობა და მოწინავე მასწავლებლების და მეცნიერების ახრთა შეჯერება ვლადიმერ (ლადო) აღნიაშვილის პედაგოგიკური მემკვიდრეობის სკოლებში და უმაღლეს სახწავლებლებში ინტეგრაციის მიწანშეწონილობის თაობაზე.

მეოთხე ეტაპზე (2000-2003) სადისერტაციო ნაშრომის ავტორმა მოახდინა წინა წლებში შესწავლილი თეორიული და ემპირიული მასალის ხიხტემატიზაცია, დისერტაციისათვის მონორგრაფიული სახის მიცემა.

აქ გვინდა აღვნიშნოთ, რომ, მიუხედავად ზემო თქმულისა, ჩვენი აზრით, სადისერტაციო ნაშრომში არ არის საკმარისად გამუქებული თანამედროვე მეცნიერების მიღწევები, მით უმეტეს ზემომეტყველებში, როგორც დრომ გვიჩვენა, საქართველოში რუსულ ენას შეეცვალა ხტარუხი, იგი იხწავლება, როგორც უცხო ენა. მას მიეცა უფრო კომუნიკაციური მიმართულება და დღეს სწორედ ზემომეტყველების კურსხ ენიჭება უადრესად დიდი მნიშვნელობა. ბოლო 10 წლის განმავლობაში ჩვენს სკოლებში საგრძნობლად დაეცა რუსული ენის ცოდნის დონე. ეს განპირობებულია, რა თქმა უნდა, მიმდინარე პოლიტიკური ცხოვრებით ჩვენს ქვეყანაში. რუსული ენის, როგორც უცხო ენის, ხტარუხი, ჩვენი აზრით, უფრო გამართლებულია ქართველთათვის, რადგან რუსულს მართლაც არაფერი აქვს საერთო მშობლიურ, ქართულ ენასთან. თუმცა, ჩვენ ამით სულაც არ გგულისხმობთ რუსულის არ ხწავლებას. პირიქით, რუსული ენა უნდა იხწავლებოდეს მეტად უფრო გამდიერებული და არა გამარტივებული პროგრამით, რათა მოხწავლებებს მიეცეთ რუსული ენის ხწავლის უფრო ხრულყოფილი და დაზვეწილი პროგრამა. ვფიქრობ, ამ თვალსაზრისით დისერტანტს შეეძლო გაეკეთებინა სათანადო ანალიზი, მით უმეტეს, რომ მას გააჩნია პედაგოგიური მოღვაწეობის დიდი გამოცდილება (30 წელი), მის აზრს, როგორც ვიცით, უწევს ანგარიშს.

სადისერტაციო ნაშრომში წარმოდგენილია იმ დაწესებულებების ჩამონათვალი, სადაც და როგორც გაიარა აპრობაცია ზემოხსენებულმა დისერტაციამ. აღნიშნულია, რომ ნაშრომის ცალკეული ნაწილების პუბლიკაციები განხორციელებულ იქნა ნუსხით გათვალისწინებულ რეფერირებულ ჟურნალებში.

სადისერტაციო ნაშრომის პირველი თავი გადმოგვცემს საქართველოში სახალხო განათლების ისტორიას XIX საუკუნის რეფორმის შემდგომ პერიოდში და მოიცავს ორ პარაგრაფს. დისერტანტი აკეთებს საინტერესო ექსკურსს და მოგვითხრობს "ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაზე", რომელიც "თერგდალელთა" ინიციატივით შეიქმნა. დისერტანტი აღნიშნავს, რომ: "ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების" საარქივო მასალებში დაცულია მრავალი დოკუმენტური მასალა, სადაც განხილულია ლადო აღნიაშვილის და მისი დის - ანას განცხადებები, მოხსენებები, ინფორმაციები მის მიერ უკვე გამოცემულ თხზულებების გამოცემის გაგრძელების შესახებ და სხვ.

როგორც დისერტანტი აღნიშნავს, დიდი დახმარება გაუწია "ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ" ლადო აღნიაშვილს ოჯახში საკითხავი "ახალი ანბანის" პოპულარიზაციაში, რადგან მაღალ შეფასებას აძლევდა მის პედაგოგიურ მოღვაწეობას.

სადისერტაციო ნაშრომის მეორე თავი ეძღვნება ლ. აღნიაშვილის ცხოვრების და საზოგადოებრივ-პედაგოგიური მოღვაწეობის ძირითად ეტაპებსა და აგრეთვე მოიცავს ორ პარაგრაფს. დისერტაციის ამ ნაწილში სათანადოდ არის განხილული ლ. აღნიაშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა, აგრეთვე მოცემულია მისი გვარის გენეოლოგია სქემის სახით, რაც, ჩვენი აზრით, მეტად საინტერესოა.

აღვნიშნავთ, რომ 26-ე და 30-ე გვერდზე ადგილი აქვს გარკვეულ უზუსტობას, რომელიც შეეხება იმას, რომ 1897 წ. საგარეჯოს თეატრის მოყვარულთა კოლექტივმა, ამ თეოთმოქმედი თეატრის დაარსების აღსანიშნავად დადგა ხექტაკალი "ზანუმა", სადაც მთავარ როლს ლ. აღნიაშვილის პაპიდა, - ვარო ახრულედა. გაურკვეველი რჩება: რომელ იუბილეს მიეძღვნა ეს ხექტაკალი? 26-ე გვერდზე მითითებულია 20 წლისთავი, ხოლო იგივე აბზაცი გამეორებულია 30-ე გვერდზე და აღნიშნავს 10 წლისთავს.

შესამე თავში განხილულია ვლადიმერ აღნიაშვილის დიდაქტიკური მსხვედრელები. ეს თავი მოიცავს ოთხ პარაგრაფს. გვინდა აღვნიშნოთ, რომ აქ დისერტანტის მიერ ყურადღება გამახვილებულია იმაზე, რომ პირველად პედაგოგიკის ისტორიაში ზემირი ლექსიკური, წინახაანბნაო კურსხი პრაქტიკულად თავის სახელმძღვანელოში

განახორციელა გერახიმე კალანდარიშვილმა, ხოლო შემდგომ ეს პრობლემა დამუშავებულ იქნა ლ. აღნიშვილის მიერ სახელმძღვანელოში "Первый шаг в изучении русского языка для начальных грузинских школ" (Тф., 1883). სწორედ ამ სახელმძღვანელოს ავტორიანობის შესახებ "მადაროელი გლეხის" ფხვედონიმიტ "ივერიაში" გამოაქვეყნა წერილი სათაურით: "მწელი ხაქმე". დიხერტანტს მოჰყავს ხტატია, რომელიც იწყება 45-ე გვერდზე და სრულდება 48-ე გვერდზე, რაც, ჩვენი აზრით, მიუხედავად მასში ასახული საინტერესო მოხაზრებებისა, ძალიან ვრცლად არის წარმოდგენილი.

შემდგომ, სადიხერტაციო ნაშრომში სრულად არის წარმოდგენილი ლადო აღნიშვილის რუსული ენის სახელმძღვანელო, ხელ 25 გაკვეთილი, გაკვეთილების მიხედვით მოცემული წინახანაწარო ხიტყვები, თითოეული გაკვეთილი თავისი ხიტყვების სრული ჩამონათვალით, რაც ნათელ წარმოდგენას გვიქმნის ლ. აღნიშვილის მიერ ზემოთ, წინახანაწარო ლექსიკურ კურსზე.

სადიხერტაციო ნაშრომის მე-ნი გვერდზე (შესაძე აბზაცი) დიხერტანტი წერს: "ჩვენ ზემოთ უკვე აღვნიშნეთ და აქ კიდევ ერთხელ გვინდა გავუხვავთ ხაზი იმას, რომ ამ სახელმძღვანელოს ლექსიკა მეთოდურად, მისი ხარისხის მიხედვით, მეტყველებაში გამოხაყნებლად და ხაერთო (რაოდენობით გადილებით უკეთაა შედგენილი, ვიდრე დღევანდელი ზოგიერთი მოქმედი სახელმძღვანელო. ამ საქმეში ჩვენ სპეციალური გამოკვლევა ვაწარმოეთ რუსთავის სკოლებში. მასწავლებელთა დიდი ნაწილი უკმაყოფილოა სკოლაში ხმარებულ (გამოყენებულ) ზოგიერთი სახელმძღვანელოთი". ჩვენი აზრით, აქ შეიძლება უფრო კონკრეტული მავალითების მოყვანა და შედარება ლ. აღნიშვილის სახელმძღვანელოსთან, რაც მეტად საინტერესო იქნებოდა პრაქტიკული თვალსაზრისითაც.

შემდგომ დიხერტაციაში განხილულია ლ. აღნიშვილის ლექსიკონი "Карманный словарь", რომელშიც შეხულია ხელ 852 რუსული ხიტყვა და რამდენიმე ფრანგოლოგიზმი თავისი თარგმნით. სადიხერტაციო ნაშრომში მოცემულია, თუ რამდენ ხიტყვას შეიცავს თითოეული ასო, აგრეთვე თანამედროვე ქართულიხათვის ცოტა უცნაური თარგმანები მავალითის ხაზით.

შესაძე თავის მეორე პარაგრაფში მოცემულია ოჯახში საკითხავი "ახალი ანბანის" ანალიზი და პოლემიკა მის ირგვლივ, რაც კიდევ ერთხელ საინტერესოდ წარმოგვიდგენს ჩვენს ისტორიას.

შესაძე პარაგრაფში განხილულია ხტატების ციკლი "საკვირველებანი ბუნებისა" ბუნების აღქმისა და შექმნების ასპექტში. წარმოდგენილია რამოდენიმე ხტატია ციკლიდან, კერძოდ, "ხე-გველა", "ვიქტორია-რეჟია", "მკვდრეთით აღმდგენი ყვავილი". ვფიქრობთ, კარგი იქნებოდა, თუ კი ეს შესანიშნავი შინაარხის ხტატეები დღევანდელი ახალგაზრდებისთვისაც დაიბეჭდებოდა.

მეოთხე პარაგრაფში გადმოცემულია თანამედროვეთა შეფასება ვლ. აღნიშვილის პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობისა, მოყვანილია ნეკროლოგები მისი გარდაცვალების შესახებ იმდროინდელი ჟურნალ-გაზეთებიდან.

სადიხერტაციო ნაშრომს ბოლოს ერთვის ძირითადი დასკვნები და რეკომენდაციები, ხადაც დიხერტანტი აჯამებს მთლიანად ნაშრომის შედეგებს და ასაბუთებს მათ მართებულობას.

დიხერტაციის ბოლოს დართულია გამოყენებული ლიტერატურის ხია, რომელიც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 344 წყაროხაგანაა შემდგარი.

ც. ბერიძის დიხერტაცია მოიცავს იმ საარქივო მახალას და ისტორიულ დოკუმენტებს, რომლებიც სრულად ასახავენ ვლადიმერ (ლადო) აღნიშვილის დვანლს და მასზე საფუძვლიანად და ხერიოზულად შესწავლილ მახალებს, რომლებიც დღემდე არავის შეუსწავლია, იმხაზურებენ ჟეოოვან ყურადღებას, ფართო საზოგადოებრიობის წინაშე წარმოჩენას და პოპულარიზაციას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიგვანია, რომ სადიხერტაციო ნაშრომი "ვლადიმერ (ლადო) აღნიშვილის პედაგოგიკური მეშვიდრობა" იმხაზურებს დადებით შეფასებას და მისი ავტორი კი - ცოლრი ბერიძე - პედაგოგიკის მეცნიერებათა კანდიდატის საშეცნიერო ხარისხს ხპეციალობით 13.00.01 - ზოგადი პედაგოგია, პედაგოგია და განათლების ისტორია.

ლ. აღნიშვილის სახელობის ილიაოხიკის უნივერსიტეტი
პედაგოგიკური მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი
ლ. ზუბაულიძე
18.04.2016

რეზიუმე - დანართი

ციური ბერიძის დისერტაციის ნაშრომზე - "ვლადიმერ (ლადო) აღნიაშვილის პედაგოგიკური შემოქმედება".

ინტერესით გავეცანი ქალბატონ ციური ბერიძის ზემოაღნიშნულ დისერტაციულ შრომას, რომელშიც ბევრი რამ ჩემთვის ახალი და საგულისხმო ამოვკითხე. არ შეპარება ეჭვი, რომ შრომას მაღალ შეფასებას მიხედვენ პედაგოგიკური შეცნობების სპეციალისტები. მაგრამ ვერ მივცემ თავს უფლებას ვიყო შრომის ოფიციალური შემფასებელი, რადგანაც მისი შინაარსი და დანიშნულება არ შეესაბამება ჩემს პროფესიას - მუსიკისმცოდნეობას და, ამდენად, არ შედის ჩემს კომპეტენციამი. ამასთან აღსანიშნავია, რომ მუსიკას მხოლოდ 9-10 გვერდი აქვს დათმობილი შრომის ტექსტში. აქ პუნქტუალურად არის თავმოყრილი ცნობილი მასალა ლ. აღნიაშვილის დედალის შესახებ მუსიკალური ხელოვნების სფეროში.

რეკომენდაციის სახით მიხდა შევთავაზო შრომის ავტორს, რომ სამეცნიერო ლიტერატურის სიაში აუცილებლად მოიხსენიოს "ქართული მუსიკის ისტორია" (წ. 1., თბ., "განათლება", 1990), ხადაც ერთ-ერთი თავი მიძღვნილია მე-19 საუკუნის ქართული მუსიკალური ხელოვნებისადმი და არაერთგზის არის მოხსენიებული ლ. აღნიაშვილი (დაბეჭდილია 3 შესაბამისი ფოტო).

უხურობა ქ-ნ ციურის წარმატებას საკვალიფიკაციო ასპარეზზე და შემდგომ სამეცნიერო მოღვაწეობაში.

ნაშრომი პასუხობს დისერტაციისადმი წაყენებულ მოთხოვნებს. მივგანია, რომ ციური ბერიძე იმსახურებს საძიებელ მეცნიერულ ხარისხს, რაც გვაძლევს უფლებას მივცეთ მას რეკომენდაცია შემდგომი საჯარო დაცვისათვის.

ქ. ცხაძე **გულბათ შოკიაძე**
თბილისის კონსერვატორიის
პროფესორი, მუსიკისმცოდნე.

10.06.05



საქსპერტო დასკვნა

ციური პერიოდის მიერ პედაგოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაბოვებლად წარმოდგენილ სადისერტაციო შრომაზე: "ვლადიმერ (ლადო) აღნიშვილის პედაგოგიკური მემკვიდრეობა". 13.00.01 - ზოგადი პედაგოგიკა, პედაგოგიკისა და განათლების ისტორია. სამეცნიერო ხელმძღვანელი = კარლო მაჭარაძე. საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, პედაგოგიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

სადისერტაციო შრომა მოიცავს შესავალს, სამ თავს, 8 პარაგრაფს, რომელშიც ასახულია: თავი I - პედაგოგიური აზრი და საზოგადოებრივი მოძრაობა საქართველოში მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში, თავი II - ვლადიმერ (ლადო) აღნიშვილის ცხოვრებისა და საზოგადოებრივ-პედაგოგიური მოღვაწეობის ძირითადი ეტაპები; თავი III - ვლადიმერ (ლადო) აღნიშვილის დიდაქტიკური შეხედულებები. ბოლოს მოცემულია ძირითადი დასკვნები და რეკომენდაციები, ლიტერატურის სია (149 გვ.).

შესავალში ჩამოყალიბებულია თემის აქტუალობა, კვლევის მიზანი, ამოცანები, საგანი, კვლევის ობიექტი, ჰიპოთეზა, მეთოდები, ნაშრომის მეცნიერული სიახლე, მიზი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა, ძირითადი შედეგები, დახატავად გამოტანილი დებულებები, კვლევის ეტაპები, ინფორმაცია ნაშრომის აპრობაციის შესახებ, სადისერტაციო ნაშრომის თემაზე გამოქვეყნებული სტატიების სია რეფერირებულ ჟურნალებში (სულ 8 შრომა ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე), მათ შორის წიგნი "ვლადიმერ (ლადო) აღნიშვილის ბიობიბლიოგრაფია". თბ., 2002. რომელიც ანოტირებულია საერთაშორისო რუსულ-ინგლისურენოვან ჟურნალში "Кавказский реферативный журнал (общественные и гуманитарные науки)", Тб., 2003, №2, გვ. 75 (ინგლისურ ენაზე), გვ. 239 (რუსულ ენაზე).

სადისერტაციო ნაშრომის თემა აქტუალურია. მიზი კვლევა საჭიროა იმიხატვის, რომ მომავალ თაობებს შემოუწინაოთ და გადაეცეთ ის დიდი მემკვიდრეობა, რომელიც დაგვიტოვა მე-19 საუკუნეში ჩამოხალიბებულმა იმ პედაგოგიურმა ნააზრევმა, რომელმაც კეთილისმყოფელი საფუძველი ჩაუყარა იმდროინდელი და შემდეგი თაობების გამოჩენილი მამულიძეების შემოქმედებას, საზოგადოებრივი მოღვაწეობის რეფორმატორულ საქმიანობას, რომელიც გაშალა "თერგდალეულთა" თაობამ ი. ჭავჭავაძის ხელმძღვანელობით, ამ საქმიანობაში აქტიურად იყო ჩაბმული ვლადიმერ (ლადო) აღნიშვილი, რომლის დიდაქტიკური შეხედულებები და პედაგოგიკური მემკვიდრეობა წარმოადგენენ დიდ ფასეულობას პედაგოგიკის ისტორიასა და საქართველოს საგანმანათლებლო სისტემის მომავლისათვის.

სადისერტაციო ნაშრომში მოცემულია ვლადიმერ (ლადო) აღნიშვილის ოჯახში საკითხავი "ახალი ანბანის", სტატიების ციკლი "საკვირველებანი ბუნებისა"-ს ანალიზი. ასევე დიდ ყურადღებას იქცევს ვლადიმერ (ლადო) აღნიშვილის აქტიური საქველმოქმედო მოღვაწეობა "ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების" საქმიანობაში. მისმა "ქართულმა სორომ" საფუძველი ჩაუყარა ქართველ მომღერალთა 3 თაობას. იგი ცნობილია აგრეთვე, როგორც პირველი ქართველი ეთნოგრაფი და მოგზაური ფერეიდანი, მთარგმნელი საბავშვო მოთხრობებისა და ზღაპრებისა. ეს მასალები გვჩვენებს დისერტანტის მიერ მოძიებულ საარქივო მასალებს.

სადისერტაციო ნაშრომში პირველად ქართულ სინამდვილეში, ძირითად საარქივო მასალებზე დაყრდნობით, წარმოდგენილია კვლევის ძირითადი შედეგები, მეცნიერული სიახლე, რასაც აქვს მეტად დიდი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა ქართული პედაგოგიკური აზროვნების შემდგომი განვითარებისათვის.

ამდენად, შესაძლებლად მიგვაჩნია, რომ ციური პერიოდის სადისერტაციო ნაშრომი "ვლადიმერ (ლადო) აღნიშვილის პედაგოგიკური მემკვიდრეობა" წარდგენილი იქნეს დახატავად სადისერტაციო სამუშაო პედაგოგიკურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაბოვებლად, 13.00.01 - ზოგადი პედაგოგიკა, პედაგოგიკისა და განათლების ისტორია.

აქსპერტის ხელმოწერა

აქაი ნარგიზიშვილი,
პედაგოგიკურ მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი
წ. ნიჭიშვილი 20.05.06

IX. უმედეგო განცხადებები
უმედეგო სახელმწიფო უწყებებში
დისერტაციის დაცვასთან დაკავშირებით.

1. საქ. სახალხო დამცველს ბ-ნ **სოზარ სუბარს**:
 - I. 2006 წ. 3 ოქტომბერი, N1675-06,
 - II. 2008 წ. 31 ოქტომბერი.
2. საქართველოს სახალხო დამცველს ბ-ნ **ურია ნანუაშვილს**:
 - I. 22 აპრილი 2016, N5179/16,
 - II. 2016 წ. 20 მაისი, N6394/16.
3. ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს **გიგი თევზაძეს** - 2006 წლის 28 სექტემბერი, N1695.
4. განათლებისა და მეცნიერების მინისტრს ბ-ნ **ა. ლომაიას** - 2006 წ. 3 ოქტომბერი, N19753.
5. თსუ-ს რექტორს **გ. ხუბუას** 2008 წ. 10 ნოემბერი N22638,
6. გარდამავალი პერიოდის დოქტორანტურაში 2009 წ. 8-14 სექტემბერი, N17945/02. საბუთები უკან არ დაბრუნდა, განადგურებულია უარის გამო (ორ უნივერსიტეტს შორის არ გაფორმებულა მემორანდუმი, ამიტომ სხვა უნივერსიტეტის დისერტანტს უფლება არ ჰქონდა ამ უნივერსიტეტში დისერტაციის დაცვის).
7. საქ. პარლამენტის თავმჯდომარეს ქ-ნ **ნინო ბურჯანაძეს** 2007 წ. 30 იანვარი, N478-07.
8. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების დეკანს, პროფ. **დავით აფრასიძეს**. 2010 წ. 13 სექტემბერი, N03-8518/10.
9. ილიას სახ. უნივერსიტეტის რექტორს ბ-ნ **გიგა ზედანიას**. განცხადებაში 2016 წ. 29 იანვარი N2/20 (ლადო აღნიაშვილზე საჯარო ლექციის ჩატარების შესახებ - თხოვნა), თან ერთვის 2015 წ. 9 სექტემბერი N4-550 სსიპ ჟიული შარტავას სახ. რუსთავის N4 საჯარო სკოლის დირექტორის ბ-ნ მამუკა ხამხაძის „სარეკომენდაციო წერილი“)
10. ილიას სახ. უნივერსიტეტის რექტორს ბ-ნ **გიგა ზედანიას**. 2016 წლის 4 მაისი, N3910/35
11. დოქტორანტურის შემოღებამ ასპირანტები ხარისხის გარეშე დატოვა. გაზ. „რეზონანსი“, 2007 წ. 21 მარტი N072(5231) და „გასწორება“ (ამავე გაზ.), 2007 წ. 26 მარტი, N077 (5236), გვ. 11.

სარეკომენდაციო წერილი

ციური ბერიძე მუშაობს რუსთავის N4 საჯარო სკოლაში რუსული ენის მასწავლებლად ამ სკოლის გახსნის დღიდან, 1978 წლის სექტემბრიდან.

ციური ბერიძე არის წარმატებული პედაგოგი, რაზეც მეტყველებს საქალაქო, რესპუბლიკურ და საერთაშორისო კონკურსებში გამარჯვების ამსახველი ჯილდოები. ამასთან, აღსანიშნავია მისი მოსწავლეების გამარჯვებები რესპუბლიკურ და საერთაშორისო კონკურსებში.

გარდა წარმატებული პედაგოგიური საქმიანობისა, ციური ბერიძე შემოქმედი პედაგოგი-მკვლევარია. წლების განმავლობაში მან დიდი შრომისმოყვარეობა და ერთგულება გამოიჩინა, რათა სამეცნიერო დონეზე შეესწავლა გამოჩენილი ქართველი პედაგოგისა და საზოგადო მოღვაწის, ფოლკლორისტის, ეთნოგრაფის, ლექსიკოგრაფისა და პუბლიცისტის ვლადიმერ აღნიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა. ქალბატონი ციური 2000 წლიდან მუშაობდა სადისერტაციო ნაშრომზე მის მიერვე აღმოჩენილი ვ. აღნიშვილის პედაგოგიური მემკვიდრეობის შესახებ.

მკვლევარის დიდი ძალისხმევით შედეგად გამოიცა ლადო აღნიშვილისადმი მიძღვნილი ორი წიგნი: ბიობლიოგრაფია (თბ. 2002, 82 გვ.) და მონოგრაფია „ვლადიმერ (ლადო) აღნიშვილი. ცხოვრება და მოღვაწეობა“ (თბ. 2010, 250 გვ.).

წლების მანძილზე პედაგოგ-მკვლევრის ც. ბერიძის ინიციატივით და ჩვენი სკოლის პედაგოგიური კოლექტივის თანადგომით ჩატარდა არაერთი ღონისძიება ამ დიდი ერისკაცის ღვაწლის დაფასებისა და მისი მემკვიდრეობის პოპულარიზაციის მიზნით.

მიმდინარე წლის 1 აპრილს სამების დიდ საკათედრო ტაძარში მაღალ დონეზე აღინიშნა ლადო აღნიშვილის სახელთან დაკავშირებული სამი იუბილე. აღნიშნული ღონისძიება გააშუქა გაზეთმა „ახალმა განათლებამ“ (2015, 30 აპრილი - 6 მაისი, სტატია „ღირესულ მამულიშვილთა კვალდაკვალ“). ამავე წელს ც. ბერიძემ ჩაატარა საჯარო ლექციები ქალაქ ყვარელში (2015, 16 მაისი), თელავში (2015, 29 სექტემბერი), შილდაში (2015, 30 დეკემბერი), ასევე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, თავისუფალ უნივერსიტეტში.

მკვლევარი გამოდის ინიციატივით დაწესდეს ლადო აღნიშვილის მშობლიურ სოფელ შილდაში (ყვარლის მუნიციპალიტეტი) სახალხო დღესასწაული „ლადოობა“ და შეიქმნას იქ ლადო აღნიშვილის სახლ-მუზეუმი. მოგეხსენებათ, ეს სოფელი სახელგანთქმულია ხალხური სიმღერების ტრადიციებით, გამოჩენილი მომღერლებით, მსახიობებით, მეცნიერებით (ლევან ასაბაშვილი (დედას ლევანა), მერი შილდელი, დოდო ჭიჭინაძე, მერაბ აღნიშვილი და სხვ.).

ყველა ამ საქმეში პედაგოგ-მკვლევარს სჭირდება მორალური მხარდაჭერა და ფინანსური თანადგომა, რადგან ეს არის საშვილიშვილო, ეროვნული ინიციატივები.

ჩემთვის, როგორც ისტორიკოსისათვის, განსაკუთრებით ძვირფასია ის, რომ ლადო აღნიშვილი იყო პირველი მოგზაური, რომელიც ჩავიდა ფერეიდანში და იქაურ ქართველებს აუწყა, რომ ისინი საქართველოში ახსოვთ. ამ თემას დიდი სტატია, ცალკე თავი ეძღვნება ც. ბერიძის მონოგრაფიაში, რომელსაც წითელ ზოლად გასდევს წუხილი, რომ ფერეიდანთან დაბრუნებისას, 1896 წელს ლადო აღნიშვილმა გამოაქვეყნა წიგნი „სპარსეთი და იქაური

ციური ბერიძე

ქართველები“, რომელიც მეორედ არ გამოცემულა დღემდე. ვფიქრობთ, სასურველია ეს წიგნი აუცილებლად გამოქვეყნდეს დიდი ტირაჟით.

ასევე ყურადღებას იმსახურებს ლადო აღნიაშვილის პედაგოგიკური მემკვიდრეობა, რომელიც შეიცავს არაჩვეულებივ კლასგარეშე მასალას სკოლის მოსწავლეთათვის საკითხავად და სასურველია მისი გამოცემაც.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მკვლევარი-პედაგოგი ციური ბერიძე აგრძელებს სამეცნიერო მოღვაწეობას და წერს მონოგრაფიებს კიდევ ორ პიროვნებაზე, რომლებიც, ხილული თუ უხილავი ძაფებით, არიან დაკავშირებულნი ლადო აღნიაშვილის სახელთან. ესენი არიან: იოზეფ რატილი (ნავრატილი) - გამოჩენილი ჩეხი მომღერალი, კომპოზიტორი, რომელიც 10 წლის განმავლობაში იყო ლადო აღნიაშვილის ეთნოგრაფიული გუნდის ქორმეისტერი და დიდი ღვაწლი აქვს საქართველოს კულტურის წინაშე და სოლომონ ლეკიშვილი - გამოჩენილი მეცნიერი, რომლის წიგნმა ი. რატილზე უბიძგა მკვლევარს მასზე მონოგრაფიის შექმნისაკენ. ამ ორივე პიროვნებაზე ციური ბერიძეს დაგროვილი აქვს ძვირფასი საარქივო, დოკუმენტური და სხვა მასალა, მზად აქვს დაწვრილებითი ბიბლიოგრაფია და სხვა. მათი გამოცემისათვის პრობლემა მხოლოდ ფინანსურ სახსრებშია.

აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ ციური ბერიძე წლების მანძილზე ამ საქმეს აკეთებს სრულიად უანგაროდ. ის წლების განმავლობაში ემსახურება ლადო აღნიაშვილის კულტურული მემკვიდრეობის კვლევას.

მიმაჩნია, რომ ლადო აღნიაშვილის, იოზეფ რატილისა და სოლომონ ლეკიშვილის მსგავსი მოღვაწეების ღვაწლის სათანადოდ წარმოჩენა დღეს სწორედ მისნაირი კეთილშობილი და ენთუზიასტი ადამიანების წყალობით შეიძლება მოხდეს.

როგორც იმ სკოლის დირექტორი, სადაც მუშაობს პედაგოგი-მკვლევარი ციური ბერიძე გთხოვთ გულდასმით მოეკიდოთ წერილში დასმულ საკითხებს და შეძლებისდაგვარად დაეხმაროთ მას, რათა ბოლომდე მიიყვანოს ყველა ჩანაფიქრი, რაც დაკავშირებულია ზემოაღნიშნულ, ეროვნულ მოღვაწეთა წარმოჩენასთან.

ლადო აღნიაშვილის ცხოვრებისეულ მაგალითზე უნდა აღიზარდონ მომავალი თაობები ჩვენს ქვეყანაში, ხოლო მათი მემკვიდრეობა, რომელიც ძირფესვიანად შეისწავლა ციური ბერიძემ, შეძლებისდაგვარად უნდა გამოქვეყნდეს და გასაჯაროვდეს.

მამუკა ხამხაძე

სსიპ ჟიული შარტავას სახელობის
ქ. რუსთავის N4 საჯარო სკოლის დირექტორი

**X. 2000 – 2016 წლებში ჩატარებული
ღონისძიებები, რომელთა მიზანი იყო
ლადო აღნიშვილისა და იოზეფ რატილის
ღვანლის დაფასება
ქართველი ერის წინაშე**

1. 2000 წ. 11 აპრილი. რუსთავის ხელოვნების სკოლა. თანამდგომი პედაგოგი ნინო მასხარაშვილი.
2. 2001 წ. ივნისი - მკვლევარ ც. ბერიძის ინიციატივით გამოჩენილი ჩეხი მომღერალისა და კომპოზიტორის იოზეფ რატილის დაბადებიდან 160 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო რუსთაველის თეატრში. მხარდაჭერა - საქ. კულტურის სამინისტრო (მინისტრის მოადგილე სვეტლანა ქეცბა) და ჩეხეთის საერო საქართველოში (ელჩი — იური ნეკვასილი).
3. 2001 წლის 30 ნოემბერი, 7 დეკემბერი რადიო „თავისუფლების“ ორი გადაცემა ც. ბერიძის კვლევითი მუშაობის შესახებ. წამყვანი - გიორგი კაკაბაძე.
4. 2002 წ. 1 ოქტომბერი - ც. ბერიძის ნაშრომის - „ვლადიმერ (ლადო) აღნიშვილი „ბიობიბლიოგრაფია“ - პრეზენტაცია რუსთავის ხელოვნების სასწავლებლის საკონცერტო დარბაზში.
5. 2002 წლის 26 ივნისი - ც. ბერიძის ზემოაღნიშნული ნაშრომის პრეზენტაცია თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახ. ცენტრალურ ბიბლიოთეკაში არსებულ ლიტერატურულ სალონში. აქვე ქალაქის ყველა ბიბლიოთეკას გადაეცა საბიბლიოთეკო ფონდში ეს წიგნი.
6. 2006 წლის 14 აპრილი - რუსთავის საჯარო სკოლაში დაიდგა სპექტაკლი „ლადო აღნიშვილი და ფერეიდნელი ქართველები“ რეჟისორი - ჯული ოშხერელი. თანადგომა: N4 საჯარო სკოლა (დირექტორი - ლია ჯღარკავა)
7. 2010 წლის 19 ოქტომბერი - გამომცემლობამ „საქართველოს მაცნე“ (დირექტორი - ლევან ფოფხაძე) გამოსცა ც. ბერიძის მონოგრაფია „ვლადიმერ (ლადო) აღნიშვილი. ცხოვრება და მოღვაწეობა“. თანადგომა: ანზორ ერქომაიშვილი - ანსამბლი „რუსთავის“ სამხატვრო ხელმძღვანელი.
8. 2010 წლის 20 ოქტომბერი. თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახ. სახელმწიფო კონსერვატორიის დიდ დარბაზში ჩატარდა ლექცია - კონცერტი, რომელსაც უძღვებოდა გივი მუნჯიშვილი — საქ-ს სახალხო არტისტი, პროფესორი, ნიკო სულხანიშვილის სახ. ეროვნული საგუნდო კაპელის დირიჟორი. საღამო მიეძღვნა სამ საიუბილეო თარიღს: ლადო აღნიშვილის დაბადებიდან 150, „ქართული ხოროს“ დაარსების 125, იოზეფ რატილის დაბადებიდან 170-ე წლისადმი. ამ ღონისძიებაზე წარმოდგენილი იქნა ც. ბერიძის ზემოაღნიშნული ნაშრომი, რომელსაც საზოგადოება დიდი ხანი ელოდა და აღფრთოვანებით შეხვდა“, როგორც ბატონმა გივი მუნჯიშვილმა აღნიშნა.
9. 2011 წლის 15 აპრილი - ც. ბერიძის მონოგრაფიის „ვლადიმერ (ლადო) აღნიშვილი. ცხოვრება და მოღვაწეობა“ პრეზენტაცია საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკაში.

მიწვეულ სტუმრებს შორის იყვნენ ყოვლად წმ. სამების ტაძრის წინამძღვარი, არქიმანდრიტი ანტონ (ნადიბაიძე), ფერეიდნელი ქართველები და იოსებ რატილის შთამომავლები (მარგარიტა ნავრატილი და სხვ.)

10. 2011 წლის 19 აპრილი -რუსთავის მთავარ ბიბლიოთეკაში წიგნის კვირეულის ფარგლებში მოენყო ზემოაღნიშნული ნაშრომის განხილვა.
11. 2012 წლის 11 აპრილი — რადიო 102.4 ქართული ფოლკლორის მოამაგენი — ლადო აღნიაშვილი. ინტერვიუ ც. ბერიძესთან. გადაცემის წამყვანი — ლალი სეთურიძე.
12. 2012 წლის 26 აპრილი - თბილისის მირზა გელოვანის სახ. ახალგაზრდობის ბიბლიოთეკასთან არსებული ლიტერატურული სალონის „საგულისონი“- ს (ხელმძღვანელი ცისანა ქოჩჩიაშვილი - ღვანლმოსილი ხელოვანი) განიხილეს ც. ბერიძის სამეცნიერო ნაშრომი ლადო აღნიაშვილზე.
13. 2014 წლის 11 მაისი - ლადო აღნიაშვილის გარდაცვალებიდან 110 - ე წლისთავთან დაკავშირებით კუკიის სასაფლაოზე აღევლინა პანაშვიდი მისი სულის საოხად, ხოლო 16 მაისს რუსთავის N4 საჯარო სკოლაში ჩატარდა საქალაქო ღონისძიება ზემოაღნიშნულ თარიღთან დაკავშირებით, რომელშიც მონაწილეობდნენ სკოლის პედაგოგები: მადონა ჩიკვილაძე, ნათია შევარდენიძე,ლამარა გოგუაძე,მარიკა კუკულაძე, თამარ ფოცხვერაშვილი, რუსთავის ფოლკლორის სკოლასთან არსებული მოსწავლეთა გუნდი (ხელმძღვანელი - ნანა თაყნიაშვილი, დირექტორი - თამარ ბუაძე). მხარდაჭერა: სკოლის დირექტორი - მამუკა ხამხაძე, ი. გოგებაშვილის სახ. პედაგოგიური საზოგადოება (თავმჯდომარე - გარი ჩაფიძე - ქართულ- უკრაინული სკოლა - კოლეჯის დირექტორი, ლეილა გეგეშიძე - ი.გოგებაშვილის ორდენის კავალერი, მეცნიერებათა დოქტორი და სხვ.) ალექსი შანიძე - კომპოზიტორი (დედით აღნიაშვილი).
14. 2014 წლის 26 აპრილი - „ფაზისის“ საერო აკადემიის სხდომაზე განიხილეს ც. ბერიძის მონოგრაფია ლადო აღნიაშვილზე ეკრანზე ფოტო და ვიდეო მასალების ჩვენებით.
15. 2015 წლის 10 მარტი - ა.ს. პუშკინის სახ. რუსულენოვან მწერალთა და პოეტთა საზოგადოება „არიონში“ ჩატარდა საჯარო ლექცია ც. ბერიძის მონოგრაფიის განხილვით და თვალსაჩინოებების ჩვენებით. მხარდამჭერია: მიხეილ აიდინოვი - საზოგადოების პრეზიდენტი.
16. 2015 წლის 8 თებერვალი - ყოვლად წმ. სამების ტაძარში აღევლინა ლადო აღნიაშვილისა და იოზეფ რატილის სულის საოხი პანაშვიდი,რომელიც აღავლინა ტაძრის წინამძღვარმა, არქიმანდრიტმა ანტონ ნადიბაიძემ სამღვდლოებასთან ერთად (ლადო აღნიაშვილის დაბადებიდან - 155, „ქართული ხოროს“ დაარსებიდან - 130 წ. იოზეფ რატილის — 175 წლისთავთან დაკავშირებით).
17. 2015 წლის 30 მარტი - ტელეარხ „ობიექტივზე“ ტელეგადაცემა სამეცნიერო ნაშრომის ავტორთან.ც. ბერიძის კვლევით მუშაობის მიმოხილვა. გადაცემის წამყვანი - ვაჟა ოთარაშვილი.
18. 2015 წლის 1 აპრილი - საქ - ს საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრის საკონფერენციო დარბაზში ჩატარდა საიუბილეო საღამო, რომელშიც მონაწილეობდა სრულიად საქ-ს საგვარეულო კავშირი „გვარი და გვარიშვილობა (ხელმძღვანელი ლევან ფრუიძე — ცნობილი

- ისტორიკოსი და ეთნოგრაფი, ანსამბლ „ერისიონ“-ის გუნდი, ჩეხეთის ელჩი ტომას პერნიცკი, კულტურის მოღვაწეები, მეცნიერები, მუსიკოსები.
19. 2015 წლის 11 აპრილი - საზოგადოებრივი მაუწყებლის რადიო - პროგრამა „ჩვენი საგანძური, წამყვანი - ივანე ჯაფარიძე. გადაცემა: “სწორუპოვარი მოღვაწე და მამულიშვილი” (ლადო აღნიაშვილის დაბადებიდან - 155, იოზეფ რატილის დაბადებიდან - 175, ქართული ხოროს დაარსების -130 დაკავშირებით). სტუდიაში ც.ბერიძე - პედაგოგი - მკვლევარი
20. 2015 წლის 9 ივნისი - თბ.სახ. უნ-ტი. პედაგოგიკის და ფსიქოლოგიის დეკანი - ქეთევან ჭკუასელის ხელშეწყობით და ქეთევან ბაქანიძის ტექნიკური დახმარებით ჩატარდა საჯარო ლექცია (წამყვანი — ც.ბერიძე) მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისათვის ზემოაღნიშნული საიუბილეო თარიღებთან დაკავშირებით.
21. 2015 წლის 16 მაისი - შეხვედრა ყვარლის საზოგადოებასთან და საჯარო ლექცია ი.ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმში (ზემოაღნიშნულ იუბილეებთან დაკავშირებით). ორგანიზატორი - ირაკლი მათიკაშვილი - კულტ.სამსახურის უფროსი.
22. 2015 წლის 29 ოქტომბერი - თელავის მუს. სასწავლებლის სააქტო დარბაზში ჩატარდა ციური ბერიძის საჯარო ლექცია სამ იუბილესთან დაკავშირებით. თანადგომა - ფიქრია ყუშიტაშვილი- თელავის კულტურის სამსახურის უფროსი, ლელა ონიანი - სამუსიკო სასწავლებლის დირექტორი.
23. 2015 წლის 30 დეკემბერი - ყვარლის რ- ნის სოფ. შილდის საზოგადოებრივ ცენტრში ჩატარდა ც.ბერიძის საჯარო ლექცია და მონოგრაფიის პრეზენტაცია- განხილვით ზემოაღნიშნულ იუბილეებთან დაკავშირებით. თანადგომა: ჯემალ შევარდაშვილი - შილდის განვითარების ფონდის დამაარსებელი.
24. 2016 წლის 15 აპრილი-საჯარო ლექცია საქართველოს უნივერსიტეტში ზემოაღნიშნულ იუბილეებთან დაკავშირებით და აგრეთვე ლადო აღნიაშვილის წიგნის „სპარსეთი და იქაური ქართველების“ (თბ.1896) გამოქვეყნებიდან 120 წლისთავთან დაკავშირებით (დღემდე მეორედ ეს წიგნი არ გამოცემულა). ღონისძიებაზე მონაწილე იყვნენ ცნობილი ირანისტი ნიკო ხუციშვილი, საქ.-ში ირანის საელჩოსთან არსებული კულტურის ატტაშე, ფერეიდნელი და ირანელი ახალგაზრდები). თანადგომა - ალექსანდრე ჭულუხაძე - ირანისტი, ირანული ენისა და ლიტერატურის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, აღმოსავლური კულტურის შემსწავლელი ახალგაზრდული კლუბი.
25. 2016 წლის 28 მაისი — რუსთავის გიგა ლორთქიფანიძის სახ. სახელმწიფო თეატრის დიდ დარბაზში გაიმართა საიუბილეო საღამო, რომელიც მიეძღვნა:
- * ვლადიმერ (ლადო) აღნიაშვილის დაბადებიდან - 155,
 - * იოზეფ რატილის (ნავრატილის) დაბადებიდან - 175,
 - * „ქართული ხოროს“ დაარსების - 130,
 - * ლადო აღნიაშვილის წიგნის - „სპარსეთი და იქაური ქართველები“ - ს გამოცემიდან - 120.

XI. ჩატარებული ღონისძიებების ამსახველი ფოტომასალა



2001 წ. 11 აპრილი რუსთავის N1 მუსიკალური სკოლა



„ლადო აღნიაშვილი და საქართველოს მუსიკალური კულტურა“ — ღონისძიების დროს



ვახტანგ ჯორჯოშვილი — ნიჭიერი მხატვარი ლადო აღნიაშვილის
პორტრეტის ავტორი



„ლადო აღნიაშვილი და საქართველოს მუსიკალური კულტურა“ —
მუსიკალური კომპოზიცია



წიგნის — „ვლადიმერ (ლადო) აღნიაშვილი. ბიობიბლიოგრაფია“ —
პრეზენტაცია 2002 წლის 1 ოქტომბერი, რუსთავი.
სამუსიკო სასწავლებელი. სააქტო დარბაზი.



წიგნის — „ვლადიმერ (ლადო) აღნიაშვილი. ცხოვრება და
მოღვაწეობა“ (თბ., 2010) — პრეზენტაცია პარლამენტის ეროვნულ
ბიბლიოთეკაში. 2011 წლის 15 აპრილი.



ჯული ოშხერელი (რეჟისორი) და ციური ბერიძე
ლონისძიების მონაწილეებთან ერთად

2006 წლის 4 აპრილი — დისერტაციის „ვლადიმერ (ლადო)
აღნიაშვილის პედაგოგიკური მემკვიდრეობა“ —
დისერტანტი — ციური ბერიძე



ქ. რუსთავის N4 საშუალო სკოლაში დისერტაციის აპრობაცია
უცხოური ენის კათედრის სხდომაზე



ნაშრომის ავტორი წარმოადგენს დოკუმენტურ და სარქივო
მასალებს დისერტაციიდან



პედაგოგები ინტერესით უსმენენ ნაშრომის ავტორს



ლელა გოგიბერიძე — რუსთავის N4 საშუალო სკოლის დირექტორის მოადგილე აღმზრდელობით დარგში, შეფასებას აძლევს დისერტაციას



ნაშრომის ავტორი წარმოადგენს დოკუმენტურ და ფოტომასალას



დისერტაციის პრეზენტაცია რუსთავის N4 საჯარო სკოლაში

სპექტაკლი „ლადო აღნიაშვილი და ფერეიდნელი ქართველები“.
2006 წლის 14 აპრილი



სიტყვით გამოდის ლია ჯღარკავა — სკოლის დირექტორი



რუსთავის N4 საჯარო სკოლის სააქტო დარბაზი.
მაყურებელი ინტერესით ადევნებს თვალყურს სპექტაკლის
მსვლელობას.



ციური ბერიძე, ჯული ოშხერელი
(სპექტაკლის რეჟისორი), მადონა ჩიკვილაძე
(ისტორიის მასწავლებელი)



სცენა სპექტაკლიდან „ღვანლი ლადო
აღნიაშვილისა“
2003 წლის 19 ივნისი




ლადო აღნიაშვილის დაბადებიდან — 155, „ქართული ხოროს“
დაარსების — 130, იოსებ რატილის დაბადებიდან — 175-ე
იუბილეებისადმი მიძღვნილი ღონისძიება, რომელიც ჩატარდა 2015
წლის 1 მარტს პუშკინის საზოგადოება
„არიონ“-ში (ხელმძღვანელი - მიხეილ იურის ძე აიდიწოვი)

სიუხი ბეჩიძე

დიდი გამუღვივლის სახელის უკვდავსაყოფად

ლადო აღნიაშვილი ქართველ საზოგადო მოღვაწეთა იმ რიცხვს ეკუთვნის, რომელთაც თავიანთი შემოქმედებითა და ქვეყნის სამსახურში თავდაუზოგავი შრომით ღირსეული ადგილი დაიმკვიდრეს. მე-19 საუკუნის მე-2 ნახევრის საქართველოს კულტურის ისტორიაში, მისი ღვაწლის უკვდავსაყოფად მრავალი საინტერესო ღონისძიება გაიმართა საჯარო სკოლებში, ბიბლიოთეკებში, უმაღლეს სასწავლებლებში. 2016 წლის 28 მაისს ქ. რუსთავის გ. ლორთქიფანიძის



სახელმწიფო თეატრში გაიმართა საიუბილეო საღამო. ამ დღეს აღინიშნა ლადო აღნიაშვილის დაბადებიდან 155. ცნობილი ჩემი მუსიკოსის, ლადო აღნიაშვილის ვუნდის ლოტბარის, იოზეფ რატილის დაბადებიდან 175. „ქართული ქოროს“ დაარსებიდან 130 და ლადო აღნიაშვილის წიგნის „სპარსეთი და იქაური ქართველები“ გამოცემიდან 120-ე წლისთავი. ღონისძიების საინიციატივო ჯგუფში აქტიურად მონაწილეობდნენ შ. მამალაშვილი და ნ. ქიშაძე.

საიუბილეო თარიღის აღნიშვნამდე გამოიცა ჩვენ მიერ შედგენილი ლადო აღნიაშვილის ბიბლიოგრაფია (თბ., 2002) და „ლადო აღნიაშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა“ (თბ., 2010). ამ ნაშრომის გამოცემაში თავისი წვლილი შეიტანა ანსამბლ „რუსთავის“ სამხატვრო ხელმძღვანელმა, ანზორ ერქომაიშვილმა. ვარდა თბილისისა, ლადო აღნიაშვილის სახელის უკვდავსაყოფად ღონისძიებები გაიმართა ყვარელსა და თლავში.

ღონისძიებებში აქტიურად მონაწილეობდნენ ქართველი ინტელიგენციის ცნობილი წარმომადგენლები, მეცნიერ-მუსიკაელები, მოსწავლეები, ბიბლიოთეკარები. წიგნის „ვლადიმერ აღნიაშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა“ განხილვაზე მოწვეულ სტუმრებს შორის იყვნენ ფერეიდნელი ქართველები და იოზეფ

რატილის შთამომავლები. შთამბეჭდავი იყო საჯარო ლექცია აღნიაშვილის უნივერსიტეტში. ლექციას ესწრებოდნენ ცნობილი პიანისტი ნიკო სუციშვილი, ფერეიდნელი ასალგაზრდები, ცნობილი ირანისტი ალექსანდრე კულუხაძე.



კომპლექსურ ღონისძიებაზე ერთხმად იყო აღიარებული დიდი მამულიშვილის ღვაწლი და ამავ ქართველი ერის წინაშე. გამოითქვა მოსაზრება, ხელშეორედ გამოიცეს მისი წიგნი „სპარსეთი და იქაური ქართველები“.

როგორც ცნობილია, ლადო აღნიაშვილს ეარაკვეული წვლილი შეუძღვის ქართულ ენაზე წიგნების გამოცემაზე და გავრცელების საქმეში. 1887 წელს მისი ინიციატივით დაარსდა „ქართული წიგნების გამომცემელთა ამხანაგობა“, მანვე გამოცემა „ახალი ანბანის“ რვა წიგნი. 1896 წელს გამოცემა „ხალხური ზღაპრები“.



ლადო აღნიაშვილი, როგორც პედაგოგი, ფოლკლორისტი და საზოგადო მოღვაძე იბრძოდა და თანამედევრულად იცავდა მშობლიური ენის სიწმინდეს. მისი მრავალმხრივი შემოქმედება ღირსეულად იქნა შეფასებული ქართველი ინტელიგენციის მიერ. ლადო აღნიაშვილის საიუბილეო თარიღთან დაკავირებული ღონისძიებები, შეხვედრები, საჯარო ლექციებში და სხვა სახის ინფორმაციები აისახა სპეციალურ ვაშეთში „ბურჯი“. აქვე გაეცნობით იოზეფ რატილის საქართველოში მოღვაწეობის ცალკეულ ეპიზოდებს.



სარჩევი

I. შესავალი	3
1. „არა არს დაფარული“	4
2. რადიო „თავისუფლების“ ორი გადაცემა: „რუსთაველი პედაგოგის კვლევითი მუშაობა“	5
3. ამავდარი	7
II. გამომავალი ნიგნა „ვლადიმერ (ლადო) აღნიაშვილი. ბიოგრაფია“	9
დარეჯან კანდელაკი	9
ბალავარ მესხი.....	10
შორენა ჭილაძე	11
ეთერ ნულუკიანი	12
დარეჯან კოტეტიშვილი	13
ბერტა ნემსაძე	15
III. ნიგნის - „ვლადიმერ (ლადო) აღნიაშვილი. ბიოგრაფია“ - რეზიუმე	18
IV. გამომავალი ნიგნა „ვლადიმერ (ლადო) აღნიაშვილი. ცხოვრება და მოღვაწეობა“	22
გივი ჯახუა	22
თემურ ჯაგოდნიშვილი.....	23
თამაზ კარანაძე	25
ლევან ფრუიძე	27
თინათინ სიყმაშვილი	27
კობა იმედაშვილი.....	30
ეთერ ჭიპაშვილი.....	31
ჯემალ ჭკუასელი.....	31
დიმიტრი თუმანიშვილი.....	31

ალმარ ლომიძე	33
ლია ჯღარკავა	35
ლეილა გეგეშიძე.....	35
მადონა ჩიკვილაძე.....	36
ვაჟა ეგრისელი	37
გიორგი შეყილაძე	37
დეკანოზი მიქაელი (ჭაბაშვილი)	38
ქეთევან ბაქრაძე.....	39
ნიკო აღნიაშვილი	40
რევაზ ჩიტაშვილი	41
ალექსი შანიძე	42
ასლან კორძაია.....	43
V. დისერტაციასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია	45
კითხვარი პედაგოგიკის ისტორიის დარგში	
პროგრამა-მაქსიმუმის ჩასაბარებლად	47
დასკვნა	49
ცნობა	50
კრებსითი უწყისი N 125.....	51
კრებსითი უწყისი N 206.....	52
ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის	
სადისერტაციო საბჭოს სემინარის სხდომის ოქმი	53
ამონაწერი ოქმიდან	54
ამონაწერი ოქმიდან	55
VI. შუამდგომლობები.....	56
VII. რეცენზია - დასკვნები.....	66
დისერტაციის I ვარიანტი	
თემა: „ქართულ სკოლაში რუსული ენის სწავლების პრობლემები	
ვლადიმერ (ლადო) აღნიშვილის პედაგოგიკურ მემკვიდრეობაში“ (თბ. 2002)	
ამონაწერი — ოქმი 6, 29 ივნისი 1998	

VIII. რეცენზია - დასკვნები..... 78

დისერტაციის II ვარიანტი

თემა: „ვლადიმერ (ლადო) აღნიაშვილის პედაგოგიკური

მემკვიდრეობა“ (თბ. 2005)

ამონაწერი, ოქმი 8, 13 ოქტომბერი, 2003.

IX უშუალო განცხადებები ზემდგომ სასაქონლო

უწყებებში დისერტაციის დაცვასთან დაკავშირებით. 98

სარეკომენდაციო წერილი 99

X. X. 2000 – 2016 წლებში ჩატარებული ღონისძიებები, რომელთა

მიზანი იყო ლადო აღნიაშვილისა და იოზეფ რატილის

ღვაწლის დაფასება ქართველი ერის წინაშე 101

XI. ჩატარებული ღონისძიებების ამსახველი

ფოტომასალა 104